# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 6 აპრილი 2005 №75 (2398) ფასი 50 თეთრი



## დღეს თასის ნახევარფინალია

წინასამატჩო ანონსი

3



## ფეხბურთელი არ გვყავს

ინტერვიუ მერაბ ჟორდანიასთან

4

## ნედვედი ტრავმამ დატანჯა

მიდის თუ არა ჩეხი ფეხბურთიდან?

8

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# მეგობრობა და 2:1 ენფილდზე



AFP ფოტოქრონიკიდან

# ლევან მაღრაძეს ფიფამ 15 დღე დაუთქვა

... 21 მარტს მოვდიოდი თბილისში, მაგრამ თვითმფრინავში ცუდად გავხდი, დილის ოთხი საათი იქნებოდა და აეროპორტიდან კლინიკაში წამიყვანეს.

... მწვრთნელებს უთქვამთ, მაღრაძე განგებ არ ჩამოდის ნაკრებშიო და რალა აზრი ჰქონდა დარეკვას?!

... გუშინ ფიფადანი ფაქსი მოვიდა „ქსანთიში". ფიფა ჩემგან ახსნა-განმარტებას ითხოვს, თუ რატომ არ ჩავედი სანაკრებო შეკრებაზე.

... ფიფამ თხუთმეტდღიანი ვადა მომცა. ფიფას იმას მივწერ, რაც ახლა თქვენ გითხარით — სიმართლეს.

... ჩვეულებრივ, ცხოვრებაში არაფერი მაწუხებს, უბრალოდ, თვითმფრინავით ფრენის შიში მაქვს.

იხილეთ მეორე გვერდი



# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

ლივერპული. „ენფილდ როუდი". 41 216 მაყურებელი

### ლივერპული 2:1 იუვენტუსი

1:0 ჰიპია (10), 2:0 ლუის გარსია (25), 2:1 კანავარო (63)

კარსონი, ფინანი, კარაგერი, ჰიპია, ტრაორე, ლუის გარსია, ბიშკანი, ჯერარდი, რიისე, ბაროში (ნუნიესი 66), ლე ტალეკი (შმიცერი 73)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ბუფონი, ძებინა (მონტერო 81), ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი (პესოტო 46), ნედვედი, დელ პიერო (ტრეზეგე 61), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)



AFP

# AMICIZIA

**ეს სიტყვა** იტალიურად დამეგობრებას ნიშნავს, რომელიც წუხელ „ენფილდ როუდის" ტრიბუნაზე ლივერპულელმა ფანებმა გამოსახეს, რითაც 20 წლის წინანდელი ტრაგედიისადმი თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს.

ხოლო 20 წლის წინ, მოგეხსენებათ, ბრიუსელის იმ სტადიონზე, რომელსაც მაშინ „ეიზელი" ერქვა, ახლა კი „მეფე ბოდუენი" ეწოდება, ჩემპიონთა თასის ის ფინალი გაიმართა, რომელსაც წინ „ლივერპულის" ქომაგთა წამოწყებული დიდი ჩხუბი და 39 ადამიანის სიკვდილი უძღოდა.

ასე და ამგვარად, ბედმა ინება და ტრაგედიის 20 წლისთავზე იმდღევანდელი მეტოქეები, „ლივერპული" და „იუვენტუსი" ისევ დააპირისპირა, ხალხმა კი ტრაგედიის „იუბილე" დამეგობრების აქციაში გადაზარდა. ალბათ შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ მატჩს ბელგიელი არბიტრი სჯიდა.

რაც შეეხება თავად მატჩს, იგი მასპინძელთა დიდი უპირატესობით დაიწყო და 25 წუთში უკვე ორბურთიანი უპირატესობითაც გამოიხატა, მაგრამ თამაშის ასეთი სურათი წესით დაუსრულებლად არ უნდა გაგრძელებულიყო. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ „ლივერპულის" შესრულებით პირველ ტაიმში მაყურებელმა იხილა საგანგებო, სწრაფი ფეხბურთი. ვიმეორებთ, ინგლისური გუნდის თამაში უდავოდ უმაღლესი კლასისა და უბრალოდ, უზადოც კი გახლდათ, მაგრამ შეხვედრის დღეს, დილით, ინგლისური ინტერნეტ-საიტები ლივერპულელთა ხელმძღვანელების ბოლო გამონათქვამებზე დაყრდნობით წერდნენ, რომ გადატვირთული კალენდრის გამო გადაღლილ ლივერპულელთაგან „იუვენტუსთან" შეხვედრაში 180-ზე მაღალი პულსი მოსალოდნელი არ იყო, მაშინ, როდესაც თანამედროვე დიდ შეჯიბრებებში ეს მაჩვენებელი ჩვეულებრივ 200-ს უტოლდება.

ვინ იცის, სწორედ ამის ბრალიც იყო მატჩისშემდგომი სცენარის ერთგვარი ცვლა და იტალიური გუნდის განადგურების ნაცვლად პირიქით, სტუმართა მიერ მდგომარეობის გამოსწორება, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ „იუვენტუსის" გოლი, რომელიც „ლივერპულის" კარში ფაბიო კანავარომ შეაგდო, მეკარის სკოტ კარსონის შეცდომის ბრალი იყო.

ლიონი. „სტად ჟერლანი". 40 000 მაყურებელი

### ლიონი 1:1 პსვ ეინდჰოვენი

1:0 მალუდა (12), 1:1 კოკუ (79)

კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, აბიდალი, ესიენი, მ. დიარა, ჟუნინიო, მალუდა, ვილტორდი, გოვუ
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, კოკუ, ფოგელი, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი (ბისლი 71)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: ფოგელი, კოკუ
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

## ინგლისი

**ჩემპიონატი**
**XLI ტური**

ბარნლი 0:1 ვესტ ჰემი
ძრიუ 1:2 დერბი
იფსვიჩი 4:3 როტერჰემი
ლიდსი 0:4 შეფილდი
ლესტერი 1:1 ვულვერჰემპტონი
პლიმუთი 1:0 უოტფორდი
პრესტონი 3:0 ბრაიტონი
ქუინზ პარკი 1:1 ჯილინგემი
სტოკი 1:3 კარდიფი
რედინგი 2:1 მილუოლი
უიგანი 0:1 სანდერლენდი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩები**

ბარნსლი 2:2 რექსემი
ბრისტოლი 0:2 ბორნმუთი
ჰარტლპული 2:2 პიტერბრო

**კონფერენსლიგა**
**გადადებული მატჩები**

დაგენემი 3:1 ბარტონი
ექსეტერი 2:1 ჰალიფაქსი
ჰერეფორდი 0:0 კარლაილი
ლეი 2:1 ძონვი
ნორსვიჩი 2:1 ფორესტ გრინი
უოქინგი 1:2 სტივენეიჯი

## ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა**
**გადადებული მატჩი**

სიგმა 2:2 ლიბერეცი

## სლოვაკეთი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩი**

პუხოვი 1:0 რუჟომბეროკი

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩები**

არმინია (მ) 1:2 კილი
ქემნიცი 2:0 ვოლფსბურგი
ზანკტ პაული 1:0 ჰამბურგი (მ)
უნიონი 1:1 ოსნაბრიუკი
ლიუბეკი 2:0 იურდინგენი

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**

ბაიერნი (მ) 0:1 აუგსბურგი

## ავსტრია

**I დივიზიონი. XXVI ტური**

ალტახი 1:1 ვიორგლი
გრატკორნი 0:0 აუსტრია (ლ)
კაპფენბერგი 4:3 უნტერზიბენბრუნი
კერნტენი 1:1 რიდი
ლინცერი 1:1 ლეობენი



# ლევან მაღრაძე: ფიფამ 15 დღე მომცა
## შიში მაქვს და ავტობუსით დავდივარ

*ბერძნული „ქსანთის" 27 წლის მარჯვენაფლანგელი ლევან მაღრაძე ალენ ჟირესმა ორჯერ მიიწვია ეროვნულ ნაკრებში — ჯერ ლიტვასთან 9 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის, მერე კი 26-30 მარტის თამაშებზე საბერძნეთ-თურქეთთან. მაღრაძე არცერთხელ გამოჩენილა სანაკრებო შეკრებაზე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც „მაღრაძის საქმის" გამოსაძიებლად ფიფას მიმართა.*

*გუშინ თავად ფეხბურთელს საბერძნეთში დავურეკეთ...*

**— ბერძენი ჟურნალისტებისგან შევიტყვეთ, რომ ბოლო სანაკრებო შეკრებაზე თვითმფრინავით ფრენის შიშის გამო ვერ ჩამოხვედი. თავად რას გვეტყოდი ამის თაობაზე?**

— ასე იყო, 21 მარტს მოვდიოდი თბილისში, მაგრამ ჩამოსვლა ველარ შევძელი, თვითმფრინავში ცუდად გავხდი, დილის ოთხი საათი იქნებოდა და აეროპორტიდან კლინიკაში წამიყვანეს, სადაც ექიმმა მითხრა, ერთი თვე თვითმფრინავით მგზავრობას მოერიდეო. ათენიდან შინ ავტობუსით დავბრუნდი.

**— ყველაფერ ამის გამო ნაკრების მწვრთნელებს რატომ არ დაურეკე და რატომ არ აუხსენი ვითარება?**

— როგორც ვიცი, უთქვამთ, მაღრაძე განგებ არ ჩამოდის ნაკრებშიო და რაღა აზრი ჰქონდა დარეკვას?!

**— გასაგებია, მაგრამ ფედერაციას ან ნაკრების ხელმძღვანელობას რაიმე შეტყობინება ხომ უნდა მიეღოთ შენი ჩამოუსვლელობის შესახებ?**

— კლუბმა ოფიციალურად აცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩემი ვერჩამოსვლის შესახებ.

**— ლიტვასთან 9 თებერვლის მატჩზე რატომ ვერ ჩამოხვედი თბილისში?**

— ფეხი მტკიოდა და, რომ ჩამოვსულიყავი, გამაყუჩებელი ნემსით უნდა მეთამაშა. გია გურულმა ტელეფონით მითხრა, ამხანაგური მატჩია და თუ ასეთი სიტუაციაა, ნუღარ ჩამოხვალ, ოღონდ კლუბის ექიმის ცნობა გამოაგზავნეო. მივედი კლუბის ექიმთან და მან მითხრა, ვარჯიშით ვარჯიშობ, თან მალე თამაში გვაქვს, ნემსით უნდა გახვიდე მინდორზე და ცნობა როგორღა მოგცეო.

**— კლუბიდან რაიმე დაბრკოლება ხომ არ ყოფილა თბილისში გამომგზავრებაზე?**

— არანაირი, კლუბი ბილეთის აღებაშიც კი დამეხმარა.

**— ის თუ იცი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას მიმართა, მაღრაძის ნაკრებში ჩამოუსვლელობის ფაქტი გამოიძიეთო?**

— ვიცი, გუშინ ფიფადან შესაბამისი ფაქსი მოვიდა „ქსანთიში". ფიფა ჩემგან ახსნა-განმარტებას ითხოვს, თუ რატომ არ ჩავედი სანაკრებო შეკრებაზე.

**— მერედა, ფიფაში გასაგზავნი ახსნა-განმარტება უკვე დაწერე?**

— ჯერ არა, საამისოდ ფიფამ თხუთმეტდღიანი ვადა მომცა. ფიფას იმას მივწერ, რაც ახლა თქვენ გითხარით — სიმართლეს.

**— საბერძნეთის ჩემპიონატისა და სათასო მატჩებზე გუნდთან ერთად ვერ მგზავრობ?**

— თუ გუნდი თვითმფრინავით მიდის თამაშზე, მე ავტობუსით ვდებო.

**— თუ ნაკრებში კიდევ გამოგიძახეს, მაშინ რაღას იზამ, საბერძნეთიდან ავტობუსით ჩამოხვალ თბილისში?**

— ექიმებმა ჯერ მხოლოდ ერთი თვით ამიკრძალეს თვითმფრინავში ჩაჯდომა, მერე კი ვნახოთ.

**— ექიმებს მკურნალობის კურსი არ დაუნიშნავთ?**

— არა, ჩვეულებრივ, ცხოვრებაში არაფერი მაწუხებს, უბრალოდ, თვითმფრინავით ფრენის შიში მაქვს.

**დავით თავართქილაძე**

# დავით ყიფიანის თასი

## ნახევარფინალი. პირველი მატჩები

# ზესტაფონი ისანშიც შინ იქნება

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 6 აპრილი. 16 საათი. ᲝᲚᲘᲛᲞᲘ

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ

**ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); **ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ:** ო. გუნთაძე

*საქართველოს თასის ისტორიაში ასეთი დამაინტრიგებელი ნახევარფინალები ალბათ არასოდეს ყოფილა. ოთხივე გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალისაა და მეტიც, სიტყვა „მეტ-ნაკლებად" ეგებ ზედმეტიც იყოს.*

*სამი დედაქალაქური გუნდი და ერთი „ზესტაფონი", რომელიც ვინძლო ყველაზე ომახიანად დაირაზმება სათასოდ, რადგან ჩემპიონატიდან საევროპო გზას ვერ მისწვდება და ეს ერთადერთი შანსი შერჩენია...*



ლუის ცაკარიასი

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ" თავკაც ლუის ცაკარიასს და კლუბის ერთ-ერთ დამფუძნებელ მამუკა გეგუშაძესაც ხშირად უთქვამთ, ამ ეტაპზე ჩემპიონობა გაგვიჭირდება, თასი კი ჩვენი უნდა გახდესო. „ზესტაფონიც" სათასო მანიითაა შეპყრობილი და, რად უნდა ლაპარაკი, დღეს „ოლიმპზე" ძაან თამაში უნდა გამოვიდეს.

ფეროელებმა პირველ და მეორე წრეებშიც წააგეს თბილისელებთან, თუმცა წლეულს შინ გაამწარეს ცაკარიასის ბიჭები. რალა ზესტაფონი და რალა ისანი — თემურ მახარაძის გუნდს დღეს გულშემატკივართა დიდი არმია ჩამოჰყვება.

უფასო ავტობუსები და მისი ჯანი.

...ასე რომ, „ზესტაფონი" დღესაც შინ ითამაშებს და თანაც ხასხასა ბალახზე. ხომ გახსოვთ, ერთი თვის წინ იმერლებმა სწორედ „ოლიმპზე" მოაშთეს „დინამო" (1:0), რამაც გია გეგუჩაძის დინამოური ხანა დაასრულა.



წლეულს ჯერაც წაუგებელ ფეროელებს ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ და თავდასხმაში, ალბათ, იონანიძე-ზირაქიშვილის იმედი ექნებათ, თუმცა ეგებ მახარაძემ ერთი თავდამსხმელით თამაში გადაწყვიტოს.

ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არც „თბილისს" ჰყავს. ლუის ცაკარიასის თანაშემწე გოჩა თამაზაშვილი კი თითქმის დარწმუნებულია, რომ დღეს ორრაუნდიანი ბრძოლის მხოლოდ პირველი ტაიმი ჩათავდება და ყველაფერი ზესტაფონში გადაწყდება:



თემურ მახარაძე

— მთავარია, გოლი არ გავუშვათ და 1:0-იც არ იქნება ურიგო. ზესტაფონელები უფრო დაცვიდან კი ითამაშებენ, მაგრამ გოლის გასატანად აუცილებლად გამოიწვევენ. მეტოქე თანაბრად დაბალანსებული გუნდია. ამიტომაც მათგან ვერცერთ ფეხბურთელს ვერ გამოვარჩევ — ისინი გუნდურად არიან ძლიერები.

— არა მგონია, ფინალისტი ხვალვე გამოირკვეს. დაძაბული თამაში იქნება და 3:0 და 4:0 [illegible] წარმოუდგენლადაც მეჩვენება. ჩვენ ყველა ფეხბურთელი მწყობრში გვყავს. „ალანის" [illegible] ბიდან ჩამოსული კორეელები კი ვერ ითამაშებენ, რადგან სატრანსფერო ფურცელი არ მოუვიდათ. მათი „თბილისში" ჩარიცხვა ჯერ არაა გადაწყვეტილი, თუმცა ერთ-ერთი მათგანი — ნახევარმცველი ჯინ კონგ ჩიუ — ვარჯიშებზე კარგად გამოიყურება".

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# დასვენებული აქცენტი ლოკომოტივზე

*თბილისის „დინამო" თასის გათამაშებას მერვედფინალიდან გამოეთიშა და ახლა ოთხ გუნდს სათასოდ თანაბარი გასაქანი და მადა აქვს. „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონი კია, მაგრამ ახლა მეხუთე ადგილზეა, ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს, ხოლო „ლოკომოტივი" მას ექვსი ქულით და ერთი საფეხურით უსწრებს, თუმც სათასო შეხვედრაში ამას მკაცრი მნიშვნელობა არ აქვს. იმასაც შევახსენებთ, რომ მეორე ეტაპზე ორივე გუნდს მწვრთნელი შეეცვალა და ოცდამეორე ტურში, 16 მარტს, ნოდარ აკობიას „ლოკომოტივმა" შინ 1:0 მოუგო ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯიას"...*

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 6 აპრილი. 16 საათი. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲔᲡᲮᲘ

### ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ

**ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); **ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ:** ნ. კაკულია



ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია: ბრძოლა იყო, ბრძოლა იქნება

*ნოდარ აკობია:* „ძალიან რთული თამაში გველის, „ვიტ ჯორჯია" ორგანიზებული გუნდია, სათამაშო დისციპლინა მაღალ დონეზე აქვს და წინა შეხვედრაში რამდენიმე ფეხბურთელიც დაასვენა ამ სათასო მატჩისთვის, რა თქმა უნდა, დასვენებული ფეხბურთელებით თამაში უკეთესია".



ბოლოხანს „ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონატში ფრეებს და წაგებებს უხშირა.

ასეა თუ ისე, ჯანი კარნევალის ბიჭებს სამეულში გასვლის იმედი თითქმის გადაეწურათ და, ცხადია, სათასო ბატალიებს მშიერი მგლებივით შეაკვდებიან.

კარნევალის თანაშემწე ***ზურაბ ბერიძე*** ირწმუნება, კრიზისი არაფერ შუაშია: „წინა ტურში „ტორპედოსთან" მეტწილად ახალგაზრდები წავიყვანეთ, რადგან ზოგ ფეხბურთელს მიკროტრავმა, ზოგსაც ყვითელი ბარათი ჰქონდა და მეორე გაფრთხილებაც რომ მიეღოთ, „ლოკომოტივთან" დაგვაკლდებოდნენ. სწორედ ამის შიში გვქონდა, მაგრამ „ტორპედოსთან" წაგვაგებინეს — უცოდინარიც მიხვდებოდა, რომ ლუკა რაზმაძის წაქცევისთვის პენალტი უნდა დანიშნულიყო".

„ვიტ ჯორჯია" სალოკომოტივოდ საქართველოს ნაკრების ბაზაზე ვარჯიშობს და ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს, მათ შორის, კაპიტანი დავით დიღმელაშვილიც, ვისაც წელი აწუხებდა.



„აქცენტი თასზე გვაქვს გადატანილი. „ლოკომოტივს" უსიკვდილოდ უნდა გავცდეთ. გვაქვს იმის პოტენციალი, რომ თასი ავიღოთ და, მგონი, ასეც მოხდება. ხვალ, ტრადიციულად, შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ".

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# გოგუები გვჭირდება

## მერაბ ჟორდანია: ფეხბურთელი არ გვყავს



*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას მისამართით კრიტიკა ბოლო ხანს სულ უფრო გამწვავდა. საბერძნეთთან და თურქეთთან ეროვნული გუნდის მარცხმა კი ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იმოქმედა, ფედერაციასა და მის პრეზიდენტს ლამის ყოველდღიურად უხდებათ შეტევების მოგერიება, თუმც...*

— ეს ჩვეულებრივი ამბავია, ჩვენი მუშაობის კრიტიკას უკვე მიჩვეულებიც კართ, საქართველოს ნაკრების შედეგი ხომ ფედერაციასთანაა გაიგივებული — გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, რომელსაც გუშინ შევხვდით და ამასწინდელ ამბებზე ვესაუბრეთ — არადა, ვფიქრობ, სხვანაირად უნდა იყოს. ვითარების შესაცვლელად წარუმატებლობის ფაქტორების ობიექტური შეფასებაა საჭირო. რატომღაც არავინ ლაპარაკობს იმ ნამდვილ მიზეზებზე, რამაც ეს ფიასკო მოგვიტანა. ზოგადად, წარუმატებლობის მიზეზებს მრავლად კი ჩამოთვლიან, მაგრამ, მთავარს არავინ ამბობს...

— **თქვენ გვითხარით...**

— ნაკრებს რაც უნდა იდეალური მწვრთნელი ჰყავდეს და იდეალურ პირობებში ემზადებოდეს, თუ ფეხბურთელი მზად არ არის, განწირული ხარ.

— **ესე იგი, წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზს ფეხბურთელებში ხედავთ...**

— აბა, დათვალეთ, საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩებამდე რამდენი ქართველი ფეხბურთელი იყო უთამაშებელი, რამდენს ჰქონდა თუ აქვს კლუბში პრობლემები, რამდენი თამაშობს რეგულარულად. არადა, საუკეთესო შემადგენლობა იყო გამოძახებული. წარუმატებლობის მიზეზებს იქ ეძებენ, სადაც ეს ყველაზე ნაკლებადაა, მთავარზე, ანუ მაღალი დონის ფეხბურთელთა ნაკლებობაზე კი არავინ ლაპარაკობს.

— **ცხადია, მაღალი დონის ფეხბურთელებით საქართველო განებივრებული არ არის და არც იდეალური მწვრთნელები გვყავს. ამ ორი მატჩის შემდეგ ალენ ჟირესის მოხსნაზეც ალაპარაკდნენ, მას კი კონტრაქტი შესარჩევი ციკლის ბოლომდე აქვს. რას ფიქრობთ?**

— კონტრაქტის გახანგრძლივებას ვფიქრობთ. ალენ ჟირესი სერიოზული სპეციალისტია, მას ნაკრების შენება დაწყებული აქვს და მიმაჩნია, რომ სწორ გზაზე დგას. ჩემს მოსაზრებას ნაკრების ის ფეხბურთელებიც იზიარებენ, რომლებსაც სოლიდურ გუნდებში სოლიდურ მწვრთნელებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ.

— **ორიოდ დღის წინ უეფას პრეზიდენტობის კანდიდატი მიშელ პლატინი გააცილეთ. კი ითქვა, თბილისში მისი ვიზიტი არაოფიციალურიაო, მაგრამ მაინც — ჩავთვალოთ, რომ პლატინიმ წინასაარჩევნო კამპანია სწორედ საქართველოდან დაიწყო?**

— პლატინის ჩვენთან სტუმრობა შეიძლება ასეც შევაფასოთ. პლატინის, როცა საპრეზიდენტო კანდიდატურა ოფიციალურად წამოაყენა, ერთ-ერთი პირველი ვიზიტი აქ ჰქონდა. ჩვენ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ უეფას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, შევიმუშავეთ გარკვეული მონახაზი, რაზეც ავაწყობთ სტრატეგიას. მიმაჩნია, რომ მიშელ პლატინი უეფას პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატია, მას ფეხბურთისთვის ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

— **ბევრჯერ თქმულა, რომ ვიაჩესლავ კოლოსკოვის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე გავლენიანი პრეზიდენტი სწორედ თქვენ ხართ. თავად პლატინიმაც გვითხრა, აღმოსავლეთ ევროპაში ჟორდანიას იმედი მაქვსო...**

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აღმოსავლეთ ევროპისა და ესენგეს მასშტაბით მართლაც გამორჩეული ადგილი აქვს. კოლეგები ჩვენს აზრს იზიარებენ და ჩვენც ვეცდებით, პლატინის კანდიდატურის მხარდასაჭერად აქტიურად ვიმუშაოთ. პლატინის თბილისში ვიზიტისას პირად თანამშრომლობაზეც ვისაუბრეთ. მისგან მაქვს გარკვეული შემოთავაზება, მაგრამ ვიდრე ის არჩევნებს არ მოიგებს, ამ საკითხზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია.

— **რამდენად რეალურად მიგაჩნიათ პლატინის გაპრეზიდენტება?**

— ძალიან სერიოზული შანსები აქვს, თუმც საპრეზიდენტო ბრძოლა მთლად იოლიც არ იქნება. თუ გახსოვთ, ადრე ვთქვი, შესაძლოა პლატინის ამჟამინდელ ფუნქციონერთა ბანაკიდან გამოუჩნდეს მძლავრი კონკურენტიო. ახლა კი შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ პლატინის ბეკენბაუერთან ბრძოლა მოუხდეს. არადა, ვფიქრობ, პლატინისა და ბეკენბაუერის დაპირისპირება ფეხბურთისთვის კარგი არ იქნება. თავადაც ვურჩიე პლატინის, ის დამეთანხმა და ახლო მომავალში ალბათ ბეკენბაუერს შეხვდება. ვიმედოვნებ, ისინი კომპრომისულ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

— **ამასობაში ქართულ ფეხბურთში რას უნდა ველოდოთ?**

— შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, უშანსოდ დარჩა, მაგრამ ცხოვრება და ფეხბურთი გრძელდება. უახლოეს მომავალში ფიფას დახმარებით ვიწყებთ ქვეყნის ათ ქალაქში ათი მინი-მოედნის კეთებას, რომელთა ბაზაზეც საფეხბურთო სკოლები ჩამოყალიბდება. ამ სკოლებში აღზრდილი ფეხბურთელები კი ადგილობრივ კლუბებს დარჩებათ, მათთან კონტრაქტები გაფორმდება და კლუბებიც ერთი-ორად გაძლიერდებიან. ასე გაგრძელდება 2007 წლამდე და ჯამში 30 მოედანსა და ამდენივე საფეხბურთო სკოლას მივიღებთ, რაც ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის სერიოზული ბიძგი იქნება. ასევე ვიწყებთ რეგიონული ფედერაციებისთვის ოფისების შენებას. ეს არის ჩვენი უახლოესი გეგმები, თორემ კიდევ რამდენიმე სერიოზული პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, თუმც პრეზიდენტთან შეხვედრამდე ამ პროექტების გამხელისგან თავს შევიკავებ. ისე კი, პარლამენტში სპორტის კურატორს ვალერი გიორგობიანს შევხვდით. მან ყველა პრობლემის ოპერატიულად მოგვარების იმედი მოგვცა. ასევე სურვილი გვაქვს, რომ მიწის ის ნაკვეთები, რომლებზეც მინი-მოედნები აშენდება, რეგიონულ ფედერაციებს საკუთრებაში გადაეცეს, ვალერი გიორგობიანი ამ საქმეშიც მხარდაჭერას დაგვპირდა.

— **რუსეთის საფეხბურთო კავშირის ახალარჩეულ პრეზიდენტს ვიტალი მუტკოს თუ იცნობთ?**

— ვიცნობ, მაგრამ ახლოს არა. მას მისალოცი უკვე გავუგზავნეთ და ვიმედოვნებ, რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც თბილი იქნება.

— **და კიდევ. საქართველოს ნაკრები წარმატებას როდის მიაღწევს?**

— ჩვენი წარმატება მნიშვნელოვანწილად სწორედ იმ პროექტების განხორციელებაზეა დამოკიდებული, რასაც ვაპირებთ. ბავშვთა ფეხბურთი — ესაა წარმატების უმთავრესი წინაპირობა. სხვათა შორის, პლატინიმ აღნიშნა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობამდე საფრანგეთის ნაკრებს ისეთი კრიზისი ჰქონდა, ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ მოხვდაო. თაობა არ იყო საფრანგეთში და წარუმატებლობაც ამან მოიტანა. ჩვენც თაობას უნდა დაველოდოთ. აგერ, გოგიტა გოგუას მაგალითი მოწმობს, რომ საქართველოში კარგი თაობა იზრდება. ბევრი გოგუა გვჭირდება, თორემ 4-5 მაღალი დონის ფეხბურთელით შორს ვერ წავალთ...

**ძოგა ინასარიძე**



# VIP-WIT

## ვიტ ჯორჯია მარაქაში გაერია

**მესამე** ქართული კლუბი მსოფლიოს ტოპ-350-ში: ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ახალ რეიტინგ-სიაში „დინამოს“ და „თბილისის“ მერე „ვიტ ჯორჯიაც“ შეჰყვა.

„დინამომ“ წინა თვის მაჩვენებელი ცხრამეტი საფეხურით გააუმჯობესა და სადღეისოდ 148-ე ადგილზეა მსოფლიოში, რაც, ზოგადად, ქართული კლუბისთვის საუკეთესო შედეგია.

გაცილებით მეტი, 62 საფეხურით აღზევდა „თბილისი“ — 269-დან 207-ე ადგილზე აინაცვლა, ტოპ-350-ის „დებიუტანტი“ „ვიტ ჯორჯია“ კი შედარებით მოკრძალებულ 296-ე ადგილზეა.

ცხრილში, ტრადიციისამებრ, საუკეთესო ოცეულსა და ქართველი ლეგიონერების კლუბთა მაჩვენებლებსაც გთავაზობთ.

მომდევნო რეიტინგი კი 30 აპრილს გამოქვეყნდება...

**ძახა შალამბერიძე**

### მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბი

2004 წლის 1 აპრილი - 2005 წლის 31 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (3) | **ნიუკასლი** (ინგლისი) | 273,0 |
| 2 | (1) | **მანჩესტერი** (ინგლისი) | 270,0 |
| 3 | (6) | **ინტერი** (იტალია) | 250,0 |
| 4 | (2) | **ბოკა ხუნიორსი** (არგენტინა) | 246,0 |
| 5 | (6) | **მონაკო** (საფრანგეთი) | 245,0 |
| 6 | (5) | **ვილიარეალი** (ესპანეთი) | 242,0 |
| 7 | (19) | **შალკე** (გერმანია) | 222,0 |
| | (10) | **ჩელსი** (ინგლისი) | 222,0 |
| 9 | (8) | **მილანი** (იტალია) | 221,0 |
| 10 | (12) | **ლიონი** (საფრანგეთი) | 219,0 |
| 11 | (11) | **იუვენტუსი** (იტალია) | 216,0 |
| 12 | (4) | **ვალენსია** (ესპანეთი) | 214,0 |
| 13 | (13) | **პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) | 212,0 |
| 14 | (14) | **არსენალი** (ინგლისი) | 211,0 |
| 15 | (15) | **სან პაულუ** (ბრაზილია) | 210,0 |
| 16 | (9) | **სანტოსი** (ბრაზილია) | 208,0 |
| 17 | (22) | **რივერ პლეიტი** (არგენტინა) | 202,0 |
| 18 | (17) | **ვერდერი** (გერმანია) | 201,0 |
| 19 | (31) | **ბაიერნი** (გერმანია) | 193,0 |
| 20 | (30) | **სევილია** (ესპანეთი) | 192,0 |
| 60 | (62) | **რეინჯერსი** (შოტლანდია) | 142,0 |
| 63 | (61) | **დნიპრო** (უკრაინა) | 141,0 |
| 99 | (95) | **ვენტსპილსი** (ლატვია) | 116,0 |
| 121 | (129) | **სკონტო** (ლატვია) | 103,0 |
| 148 | (167) | დინამო (საქართველო) | 95,0 |
| 155 | (181) | **ცსკა** (სოფია, ბულგარეთი) | 93,5 |
| 207 | (269) | თბილისი (საქართველო) | 81,0 |
| 218 | (251) | **სეპაჰანი** (ირანი) | 78,5 |
| 264 | (276) | **მეტალურგი** (დონეცკი, უკრაინა) | 71,5 |
| 268 | (398) | **ქსანთი** (საბერძნეთი) | 70,5 |
| 296 | (353) | ვიტ ჯორჯია (საქართველო) | 67,0 |
| 330 | (337) | **ლოკომოტივი** (რუსეთი) | 63,0 |




კირონ დაიერი და ლი ბოიერი გუშინ შერიგდნენ

# ბოიერს გაუშვებენ

## ხულიგანი და ძველი ბიჭი არ გვჭირდებაო

**მოლოდინი** გამართლდა: „ნიუკასლმა“ 6 კვირის ხელფასით, ანუ 200 ათასი გირვანქით დააჯარიმა თავისი ნახევარმცველი ლი ბოიერი და გამოაცხადა, რომ ზაფხულში ის კლუბს დატოვებს.

ბოიერმა და კირონ დაიერმა სახალხოდ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და შაბათს, თანაგუნდელებს შორის მოედანზე ატეხილი უპრეცედენტო ჩხუბი დაავიწყებას მისცეს.

კლუბის თავმჯდომარემ, ფრედი შეპარდმა თქვა, რომ ორი წლის წინათ ხულიგნური რეპუტაციის მქონე ბოიერის თავისუფალი აგენტის სტატუსით შეძენა სწორი გადაწყვეტილება იყო. თუმცა, ახლა მას გუნდში აღარ გააჩერებს. ყოველ შემთხვევაში, საკითხი სწორედ ასე დგას.

„ასტონ ვილასთან“ შინ 0:3 წაგებული მატჩის მიწირულს დაიერსა და ბოიერს შორის ატეხილი ჩხუბის წამომწყები სწორედ ლი ბოიერი იყო და კლუბი ახლა ეცდება, რომ ფეხბურთის ასოციაციას დაიერის წითელი ბარათი გააუქმებინოს.

ლონდონელი ძველი ბიჭის, ლი ბოიერის თავგადასავლები კი არც ამით დაწყებულა და არც ამით დამთავრდება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ლემანის ორმატჩიანი წუწაობა



იენს ლემანი

**ლონდონის** „არსენალის“ მეკარე იენს ლემანი უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანელი ევროთასებზე მომდევნო ორ შეხვედრას გამოტოვებს.

რადგან „არსენალი“ ამ სეზონში ევროსარბიელს უკვე ჩამოშორდა, სასჯელი მომავალ სეზონში გადაინაცვლებს, ოღონდ შესაძლოა, ეს უკვე სხვა გუნდში მოხდეს, რადგან არსენ ვენგერი ლემანის გაშვებას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ იენს ლემანმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო, „ბაიერნთან“ მატჩის შემდეგ გვირაბში იტალიელ მსაჯებს წყალი შეასხა. მასიმო დე სანტისი და მისი ერთ-ერთი თანაშემწე გვარიანად გაილუმპნენ, მერე კი ლემანის ნამოქმედარი პატაკში ჩაწერეს და უეფას გაუგზავნეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პირტიტველა მილიონერები

## ბექჰემის მომავალს ბუგატი განსაზღვრავს

*ამ კვირის ბოლოს „სანდი ტაიმსი“ ბრიტანეთის უმდიდრეს ადამიანთა ნუსხას გამოაქვეყნებს. საინტერესო კი ისაა, რომ ამ სიის ერთ-ერთ ნაწილში — „ყველაზე მდიდარი ახალგაზრდები“ — ბიზნესმენებმა და მუსიკოსებმა კი არა, ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი. ჟურნალი აღნიშნავს, რომ ბურთის გორება არასდროს ყოფილა ასე სარფიანი საქმე, როგორც ახლაა. პირველი ასეულის დაახლოებით მეოთხედი 30 წლამდე ფეხბურთელებს უკავიათ*



რობი ფაულერი ინგლისელთა აზრით, წარმატებული ფინანსისტიც იქნებოდა

**ნუსხაში** გათვალისწინებული არაა დევიდ ბექჰემის გვარი, რადგან ბრიტანეთში არ თამაშობს, თუმც ყველაზე მდიდარია 30-წლამდე ფეხბურთელებში. გასაგებ მიზეზთა გამო სიაში ვერ მოხვდნენ ისეთი ჯიბესქელი ვაჟკაცები, როგორებიც არიან ალან შირერი და როი კინი, რაკი მათ 30-ს გადააბიჯეს.

„16 წელია, ამ ნუსხას ვადგენ და არ მახსოვს, რომ რომელიმე ნაწილში ერთი პროფესიის ამდენი ადამიანი შეკრებილიყოს — ამბობს „სანდი ტაიმსის“ კორესპონდენტი ფილიპ ბერესფორდი — როგორც ჩანს, ფეხბურთში დიდძალი ფული კეთდება“.

ახლა კი ვნახოთ, თუ ვინაა უმდიდრესი ახალგაზრდებს შორის. შეიძლება უცნაურია, მაგრამ ეს გახლავთ 29 წლის რობი ფაულერი. მას არ უთამაშია „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ჩელსისა“ და „არსენალის“ დარ მდიდარ კლუბებში. „ლივერპულს“ ყოფილი კაპიტანი ახლა „მანჩესტერ სიტიშია“, მაგრამ თავისი ჯამაგირი ჭკვიანურად დააბანდა და ამჟამად 28 მილიონი გირვანქა სტერლინგის პატრონია.

ფაულერს სამი მილიონით ჩამორჩება „მეთოფე“ სოლ კემპბელი, რომელმაც ფული „ტოტენჰემიდან“ „არსენალში“ გადასვლით „მოჭრა“. ეს ლონდონური კლუბები ერთურთის მტრები არიან და „მეთოფეებმა“ მტრის ბანაკიდან გადაყვანილი ფეხბურთელს, ცხადია, მსუყე ჯამაგირი დაუნიშნეს.

მესამე ადგილზეა რიო ფერდინანდი — უკეთესი ხელფასის ძიებაში ინგლისის ნაკრების მცველმა „ვესტ ჰემიდან“ „ლიდსში“, „ლიდსიდან“ კი „მანჩესტერ იუნაიტედში“ ამოყო თავი. ფერდინანდი ანრიზე, ვან ნისტელროიზე და პატრიკ ვიეირაზე ჯიბესქელია.

ჟოზე მაურინიოს ფეხბურთელები, ტერი, ლამპარდი, დაფი და ჯო კოული ზემოთ ჩამოთვლილებს სიმდიდრით ჯერჯერობით ვერ დაეტოლებიან, მაგრამ „ჩელსიმ“ ასე თუ გააგრძელა, რომან აბრამოვიჩი აუცილებლად დაუფასებს.

მეცხრამეტე საფეხურზე მოკალათებულა უეინ რუნი 6 მილიონი გირვანქით, მაგრამ ჯერ 20 წლისაა და თქმა არ უნდა, კიდევ უფრო მეტის მოხვეჭას შეძლებს.

ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი, გარეთ საუთგეიტი ამტკიცებს, რომ ვარსკვლავ-ფეხბურთელების გარჯა სათანადოდაა შეფასებული, თუმც ახალგაზრდებს აშკარად მეტს უხდიან, ვიდრე ვეტერანებს: „ფეხბურთი სწრაფად გამდიდრების საშუალებად იქცა და აღარავის აღარდებს თავისი კლუბი და ქვეყანა. მნიშვნელობა არ აქვს, რომელ გუნდში ითამაშებ, მთავარია, ბევრს გიხდიდნენ. ფეხბურთის მესვეურნი თითქოს ზრუნავენ ამ თამაშის იმიჯზე, მაგრამ სინამდვილეში ისინი ვერაფერს უპირისპირებენ კლუბთა ფინანსურ ძალას“ — ამბობს საუთგეიტი.

„კარგია, ფეხბურთელს მცოდნე მრჩეველი თუ ჰყავს და ასწავლის, როგორ განკარგოს თანხა, თუმც როცა მოთამაშე ჯერ 20 წლისაც არაა და მას შეუძლია იყიდოს ყველაფერი, რაც მოესურვება, მაშინ ჩნდება კითხვა — ამის მერე რა იქნება?“ — ამბობს „სანდი ტაიმსის“ კორესპონდენტი.

22 წლის ჟერმენ პენანტმა, რომელიც ავტომობილს მთვრალი მართავდა და ამის გამო სასჯელი პატიმრობაც მოიხადა, საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ „ბირმინგემთან“ ძვირფას კონტრაქტს მოაწერა ხელი. პენანტს ხელზე სპეციალური სამაჯური უკეთია, რათა პოლიციამ მისი ადგილსამყოფელი აკონტროლოს.

მილიონერი ყმაწვილი „ლამბორჯინისაც“ იყიდის და „ფერარი ენცო სტაროსასაც“, მშობლებსაც უზრუნველყოფს და საცოლეს ნიუ-იორკში საყიდლებზეც გაუშვებს, მაგრამ პატარა მილიონერები რომ არ დაიბნენ, მაგალითად ინგლისში პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია გამოსცემს საგანგებო ჟურნალს, სადაც ახსნილ-განმარტებულია, სად, რისთვის და როგორ დახარჯონ ფული უცბად გამდიდრებულმა პირტიტველა ჯეელებმა.

ჟურნალის ბოლო ნომერში აღწერილია სუპერავტომობილი „ბუგატი“, რომელიც ჯერ არ იყიდება, მაგრამ ერთი შეკვეთა უკვე მიღებულია.

როგორც ამბობენ, ეს 785 ათას გირვანქად შეფასებული „ბუგატი“ დევიდ ბექჰემის ავტოფარეხს შეავსებს მადრიდში. „სანდი ტაიმსის“ აზრით, ამ ავტომობილზე საჭის განლაგების მიხედვით შეიძლება გაარკვიო, სად გააგრძელებს კარიერას ბექჰემი — საჭე მარცხნივ თუ იქნება, მაშინ ესპანეთში დარჩება, ხოლო თუ მარჯვნივ აღმოჩნდება, ესე იგი, ინგლისში დაბრუნებას აპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჟერმენ პენანტი (მარჯვნივ) „ვირის აბანოდან“ პოლიციელის თანხლებით გამოუშვეს

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

# იტალიური სტილის ევრომადონინა

მილანი. „სან სირო". მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი). 22.45 საათი

### მილანი — ინტერი

### სავარაუდო შემადგენლობები

| მილანი | ინტერი |
|---|---|
| დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, კრესპო | ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ვერონი, კ. ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი, მარტინსი, ხ. კრუზი |
| მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი | მწვრთნელი: რობერტო მანჩინი |
| **დისკვალიფიცირებულნი** | |
| არავინ | არავინ |
| **ტრავმირებულნი** | |
| არავინ | ადრიანო, ალვარო რეკობა, ემრე ბელოზოღლუ |

## ინტერის წაგება უბრალოდ, არ შეიძლება


2003 წლის 13 მაისი. მაშინ „მილანმა" „ინტერი" ანდრეი შევჩენკოს გოლით გაიარა

**ვთქვათ** სიმართლე, ეს დერბი არავის სჭირდებოდა, არც „მილანსა" და არც „ინტერს", მაგრამ ბედმა ასე ინება და იგი უნდა შედგეს.

ამბობენ, რომ მისი სიმძიმე თუ ვინმეს გაჭყლეტს, „ინტერი" იქნება. რატომ? იმიტომ, რომ „მილანი" იტალიის მოქმედი ჩემპიონია, ჩემპიონთა თასსაც სულ ახლახან, 2003 წელს ფლობდა და იმ გათამაშების ნახევარფინალში, სწორედ „ინტერი" გამოთიშა შეჯიბრებას. და, როგორც „შავ-ლურჯთა" ბანაკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, სერბი დეიან სტანკოვიჩი ამბობს, რომც დამარცხდეს, უპერსპექტივოდ მაინც არ დარჩება — სკუდეტოსთვის განაგრძობს სრულიად რეალურ ბრძოლას.

„ჩვენთვის კი — განაგრძობს სტანკოვიჩი — წაგება, რომლის წარმოდგენა უბრალოდ არც მსურს, ნიშნავს ყველაფრის დაკარგვას და ხელცარიელად დარჩენას. „ინტერის" დამარცხება ახლა, უბრალოდ არ შეიძლება."

ახლა, ასე მოვუაროთ თემას: თუ გუნდების ბოლო პერიოდში ნაჩვენები თამაშის ან თუ გნებავთ, ბოლოდროინდელი ფორმით ვიმსჯელებთ, წესით „მილანმა" უნდა გაიმარჯვოს. თებერვალში, ამ გუნდების შეხვედრაში სწორედ „შავ-წითლებმა" გაიმარჯვეს, პირველ წრეში კი თამაში უგოლოდ, 0:0 დასრულდა. საერთოდაც, ბოლო რვა დაპირისპირებაში „მილანმა" ან მოიგო ან ფრედ ითამაშა, „ინტერის" ბოლო გამარჯვება კი მემატიანეს დათარიღებული აქვს 2002 წლის მარტით, როდესაც შეხვედრის ერთადერთი გოლი კრისტიან ვიერიმ გაიტანა, მაგრამ ამას გუნდის გულშემატკივართა გულები მაინცადამაინც არ მოუფხანია, ვინაიდან 2001 წელს „მილანმა" „ინტერს" 6:0 გადაურბინა.

„თუ ასეთ ფაქტებს მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ „მილანი" რასაკვირველია, ფავორიტი გამოვა — განაგრძობს სტანკოვიჩი — იგი კარგად თამაშობს, იტალიის ჩემპიონატის ცხრილშიც პირველ ადგილზეა, ბოლო დერბიც მან მოიგო. ხოლო ჩვენ ამ სეზონში ერთი გოლიც კი ვერ გავუტანეთ, მაგრამ ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული არგუმენტი — საგანგებო მოტივაცია."

„საკმაო ფულს გადავიხდიდი, ამ შეხვედრაში რომ მეთამაშა — ეს კი „ინტერის" მწვრთნელმა, „სამპდორიას", „ლაციოს" და ზოგადად იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავმა, რობერტო მანჩინიმ განაცხადა — აშკარაა, რომ წინ დიდი და მშვენიერი მატჩი გველის. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მილანურ დერბიზე საინტერესოს ვერაფერს ინატრებდა ადამიანი. რაც შეეხება „მილანის" ფავორიტობას, ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ჩვენი მეტოქე ფავორიტია, ის გახლავთ, რომ მან როგორც ჩემპიონთა ლიგა, ასევე სკუდეტო სულ ახლახან მოიგო. მეორეს მხრივ, „ინტერი" სოლიდური გუნდია, რომელსაც ამ ეტაპის გავლა კი არა, მთელ შეჯიბრებაში გამარჯვება შეუძლია. ჩვენ მთავარია სიმშვიდე შევინარჩუნოთ და თუ ეს შევძელით, მწამს გავიმარჯვებთ. ჩვენი ამოცანაა, მოედანზე გონების სრული კონცენტრირება მოვახერხოთ და მეტოქეს ჩვენი შეცდომებით სარგებლობის უფლება არ მივცეთ."

რა პრობლემები აქვთ მატჩის წინ „შავ-ლურჯებს"? უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ადრიანოს ტრავმა და კრისტიან ვიერის არასრულყოფილი მომზადება. ვიერი მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად და საჭირო მომენტში შეცვლაზე შესასვლელად არის მზად. ერთი სიტყვით, არ არის გამორიცხული მანჩინიმ ყოველივე ამის გამო მისთვის უჩვეულო, 4-3-2-1 სისტემით თამაშიც გადაწყვიტოს.

„ტყუილია, თითქოს გუნდი, რომელიც ორი კი არა, ერთი თავდამსხმელით გადის მოედანზე, დაცვით ტაქტიკას ირჩევს — განაგრძობს მანჩინი — ვიერი, სამწუხაროდ 90 წუთისთვის ჯერ მზად არ არის, მაგრამ თამაშის ამ თუ იმ მომენტში ჩართვას შეძლებს. და კიდევ, ხშირად მეკითხებიან, განვიცდით თუ არა ორი წლის წინანდელისთვის შურისძიების წყურვილს? ჩვენი პასუხია არა. შურისძიება აქ არაფერ შუაშია. ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ ვაცხადებდით დროის ამ პერიოდში შეჯიბრების ამ ეტაპზე აღმოჩენას და საერთოდაც, ჩვენი მიზანი კონკრეტულად ვინმეს დამარცხება კი არა, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაა."

ახლა კი იმაზე ვილაპარაკოთ, რას ნიშნავს მილანური გუნდებისთვის „სან სიროზე" საშინაო და საგარეო მატჩი — ხომ ფაქტია, რომ ერთისთვის დღევანდელი მატჩი საშინაოა, ხოლო მეორისთვის სტუმრობა? რას და, სტუმარი „ინტერია" და შესაბამისად, მისი ქომაგები დღეს მხოლოდ ერთ, კარსუკანა ტრიბუნას შეავსებენ, ხოლო „მილანის" გულშემატკივრებს დანარჩენი სტადიონი ექნებათ დათმობილი. საპასუხო შეხვედრაში ყველაფერი პირიქით მოხდება.

„მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „მეტოქეს ადრიანო რომ არ ეყოლება, ძალიან კარგია, რადგან ბრაზილიელი მათთვის საკვანძო ფიგურაა. ადრიანოს არყოფნა წესით გუნდს უნდა დაეტყოს, თუმცა, მეორეს მხრივ, „ინტერში" თამაშობენ ხულიო კრუზი და ობაფემი მარტინსი. მარტინსი ძალიან სწრაფი და ამოუცნობი მოთამაშეა, მაგრამ იმედი მაქვს მათ ჩვენი მხრიდან კაკა შეუქმნის ანალოგიურ სირთულეებს. თამაშის შესახებ ჩემი წინასწარი მოსაზრება ასეთია: ვფიქრობ, ერთმანეთის წინაშე დგანან გუნდები, რომლებიც უმალ საკუთარი ფეხბურთის თამაშს აქცევენ ყურადღებას, ვიდრე მეტოქის შეზღუდვას. რაც შეეხება ყბადაღებულ ნათქვამს, რომ ჩვენ იტალიური სტილის მატჩის მომსწრენი გავხდებით, ამაზე მხოლოდ იმის გამეორება შემიძლია, რაც ჩვენი ორი წლის წინანდელ ევროდაპირისპირების წინ ვთქვი, კერძოდ კი იმის, რომ იტალიურ ფეხბურთს დიახაც აქვს თავისი სახე და იგი ევროპაში ანგარიშგასაწევია."

შემდეგ კი ანჩელოტიმ თავისი ახლანდელი და ორი წლის წინანდელი გუნდები შეადარა ერთმანეთს:

„ვფიქრობ, დღეს უკეთესი გუნდი გვყავს, რადგან მას მერე ძლიერი მოთამაშეები შემოგვემატნენ და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახლა გვყავს ანდრეა პირლო, რომელიც ორი წლის წინანდელ დერბიში არ მონაწილეობდა. პლუს, ჩვენ შევიძინეთ ერთად დიდი მატჩების თამაშის დამატებითი გამოცდილება"

და ბოლოს, ანდრეი შევჩენკოს შესახებ ანჩელოტიმ ბრძანა:

„ის კარგად გამოიყურება, მაგრამ მე მას უნდა დაველაპარაკო და ვკითხო, შეძლებს თუ არა თავიდანვე თამაშს."

**პაატუნა ძიდია**


ინტერელი დეიან სტანკოვიჩი უკვე ღრიალებს — ჩვენ არ უნდა წავაგოთ!

### ურთიერთშეხვედრები

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი

| | |
|---|---|
| 07.05.2003 | მილანი 0:0 ინტერი |
| 13.05.2003 | ინტერი 1:1 მილანი |

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი". მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია). 22.45 საათი

## ჩელსი — ბაიერნი

### სავარაუდო შემადგენლობები

| ჩელსი | ბაიერნი |
|---|---|
| ჩეხი, ჯონსონი, ტერი, რ. კარვალიუ, გალასი, ტიაგუ, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, ჯ. კოული, გუდიონსენი | კანი, სანიოლი, ლუსიო, კოვაჩი, ლიზარაზუ, დაისლერი, ფრინგსი, ბალაკი, შვაინსტაიგერი, მაკაი, გერერო |
| მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ | მწვრთნელი: ფელიქს მაგათი |

**დისკვალიფიცირებულნი**

| | |
|---|---|
| მატეა კეჟმანი (1 მატჩი) | მარტინ დემიკელისი (1 მატჩი) |

**ტრავმირებულნი**

| | |
|---|---|
| არიენ რობენი, პაულუ ფერეირა, უეინ ბრიჯი | კლაუდიო პიზარო |

# ბაიერნმა პიზარო არ შეიმჩნია




„ჩელსი" — „ბაიერნი", რა თქმა უნდა, ოლივერ კანისა და პეტრ ჩეხის დუელიცაა

**იმის თქმა,** რომ „ჩელსი" კარგ ფორმაშია, საკმარისი არ უნდა იყოს — „ჩელსი" ასეთ კარგ ფორმაში თავის საუკუნოვანი იუბილეს მანძილზე არასდროს ყოფილა. პრემიერლიგაში, შაბათს „საუთჰემპტონის" ძლევის მერე, ლონდონელებს სულ სამი მოგებაღა აშორებთ სანუკვარი ჩემპიონობისგან, რომელიც მთელი 50 წელია, არ მოუპოვებიათ.

„ჩელსი" ჩემპიონთა თასის მოგების ფავორიტადაც რჩება, მაგრამ გუნდში სრული ჰარმონია მაინც არ არის. ჟოზე მაურინიუს დისკვალიფიკაცია ცალკე თემაა, აქ კი დაშავებულებზე ვთქვათ.

ლონდონელებს სამი კოჭმტკივანი ფეხბურთელი ჰყავთ: არიენ რობენი, პაულუ ფერეირა და უეინ ბრიჯი. ამათ გარდა, ბოლომდე გარკვეული არ არის, შეძლებენ თუ არა თამაშს სკოტ პარკერი და ჯერემი ნჯიტაპი. ერთი ფეხბურთელიც „ჩელსის" დისკვალიფიცირებული ჰყავს — ეს სერბი მატეა კეჟმანია.

მეორეს მხრივ კი, „ჩელსის" იმსიგრძე სათადარიგოთა სკამი აქვს, ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელების არყოფნისა მაინცდამაინც არ უნდა ეშინოდეს.

სკამის გახსენებაზე: ჟოზე მაურინიუმ ორშაბათს თქვა, სათადარიგოთა სკამზე სხვებთან ერთად ფინელი მიკაელ ფორსელიც მეყოლებაო: „სასტარტო შემადგენლობაში თავდამსხმელების პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ვინაიდან რობენი და კეჟმანი არ მეყოლება, გადავწყვიტე განაცხადში ფორსელიც შევიყვანო."

ფინელი ფორსელი, ვინაც წინა სეზონში კლუბს „ბირმინგემში" ჰყავდა განათხოვრებული, მუხლის ტრავმის გამო სექტემბერს აქეთ უქმად იყო.

„ექიმებმა უზარმაზარი საქმიანი გასწიეს და ფორსელი ფეხზე დააყენეს" — საქებარი სიტყვები წამოსცდა მაურინიუს.

„ბაიერნს" კი, რომელიც სამი დღის თავზე მეორედ ჩავიდა ლონდონში, მარტინ დემიკელისი და კლაუდიო პიზარო არ ეყოლება. არგენტინელი დისკვალიფიცირებულია, ხოლო პერუელი დაშავებული. ამ უკანასკნელმა ტრავმა შაბათს, ვოლფსბურგში მიიღო, სადაც ბუნდესლიგის ტურში „ბაიერნმა" იქაურებს 3:0 მოუგო.

პიზაროს ტრავმის გამო, კომენტარებიდან ისე ჩანს, რომ მიუნხენელები ძალიანაც არ ღელავენ. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰოენესმა თქვა: პიზაროს დაშავება, ცხადია, არ გაგვახარებია, მაგრამ მის შემცვლელად ხოსე პაულო გერერო გვეგულება და ამიტომაც მშვიდად ვართ.

დემიკელისის არყოფნა კი შემადგენლობაში სებასტიან დაისლერის გამოჩენას ნიშნავს, ხოლო მიხაელ ბალაკი ალბათ უფრო უკან დახეული ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშებს.

**ირაკლი ნინიძე**

# სადღაც მარტო, ტელევიზორთან

**ჟოზე მაურინიუ** დღევანდელ მატჩს, რომელშიც მისი „ჩელსი" „ბაიერნს" უმასპინძლებს, ვერც სათადარიგოთა სკამიდან უყურებს და ვერც „სტემფორდ ბრიჯის" ტრიბუნიდან, როგორც ეს საზოგადოდ ხდება მწვრთნელის დისკვალიფიკაციის დროს. მაურინიუს თამაშის წინაც კი აკრძალული აქვს „ჩელსის" ფეხბურთელებისთვის დარიგებების მიცემა. იგივე იქნება საპასუხო მატჩის დროსაც.

ეს უეფას მიერ დაწესებული სასჯელის ნაწილთაგანია და ამის გარდა, მწვრთნელს უეფასთვის 20 ათასი შვეიცარიული ფრანკიც აქვს გადასახდელი. თავად „ჩელსი" კი 75 ათასი ფრანკით დაჯარიმდა.

ხოლო, თუ რამ გამოიწვია უეფას განრისხება, დიდად გახმაურებული ამბავია — მაურინიუმ შვედი არბიტრი ანდერს ფრისკი „ბარსელონას მწვრთნელთან ფრანკ რაიკარდთან საეჭვო საუბარში ამხილა და მართალია, მერე თავისი სიტყვები უკან წაიღო, მოსახდენი მოხდა — ფრისკს გულშემატკივრები ანგარიშსწორებით დაემუქრნენ და არბიტრმაც ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა.

უეფას გადაწყვეტილებამ ჩელსელები, ცხადია, არ აღაფრთოვანა, მაგრამ არც გასაჩივრება გადააწყვეტინა. კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „უეფას ვერდიქტით უკმაყოფილოები ვართ, მაგრამ გასაჩივრებას არ ვაპირებთ. ვფიქრობთ, ძალისხმევის გასაჩივრებაზე გადატანა გუნდის „ბაიერნთან" მატჩისთვის მზადებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს."

ამბავი კი არც ამით მთავრდება. კლუბის ამ განცხადებამ მაურინიუ განარისხა და ვინძლო „ჩელსიში" კონფლიქტიც მწიფდებოდეს. პორტუგალიელი იმას გაუბრაზებია, ჩემთან რატომ არ შეათანხმეს, გასაჩივრებას რომ არ აპირებდნენო. აქაოდა, ამ საქციელისთვის კლუბის უფროსობამ მიგანა და უეფასთან ბრძოლაში მარტო დამტოვაო.

| 11406 ნიუკასლი-სპორტინგი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11407 ვილიარეალი-ალკმაარი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |

# I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10402 ჩელსი-ბაიერნი | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10403 მილანი-ინტერი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 10404 ცსკა-ოსერი | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10405 ავსტრია-პარმა | 2.7 | 2.1 | 3.2 | 1.18 | 1.46 | 1.26 |
| 10406 ნიუკასლი-სპორტინგი | 2.2 | 2.0 | 5.0 | 1.04 | 1.52 | 1.42 |
| 10407 ვილიარეალი-ალკმაარი | 1.9 | 2.3 | 5.3 | 1.04 | 1.39 | 1.6 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13402 ჩელსი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13403 მილანი-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 13404 ცსკა-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 13405 ავსტრია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13406 ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 13407 ვილიარეალი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | |
|---|---|---|
| 12402 ჩელსი-ბაიერნი | 1.6 | 2.0 |
| 12403 მილანი-ინტერი | 1.6 | 2.0 |
| 12404 ცსკა-ოსერი | 1.6 | 2.0 |
| 12405 ავსტრია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12406 ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 12407 ვილიარეალი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14402 ჩელსი-ბაიერნი | 1.65 | 2.2 |
| 14403 მილანი-ინტერი | 1.75 | 2.1 |
| 14404 ცსკა-ოსერი | 1.6 | 2.3 |
| 14405 ავსტრია-პარმა | 1.8 | 2.0 |
| 14406 ნიუკასლი-სპორტინგი | 1.65 | 2.2 |
| 14407 ვილიარეალი-ალკმაარი | [illegible] | 2.55 |

**ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)**

| | ლუწი | კენტი |
|---|---|---|
| 17402 ჩელსი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17403 მილანი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17404 ცსკა-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17405 ავსტრია-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17406 ნიუკასლი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17407 ვილიარეალი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15402 ჩელსი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15403 მილანი-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15404 ცსკა-ოსერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15405 ავსტრია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15406 ნიუკასლი-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15407 ვილიარეალი-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

**რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე**

| | | |
|---|---|---|
| 18402 ჩელსი-ბაიერნი | 1.6 | 2.3 |
| 18403 მილანი-ინტერი | 1.55 | 2.3 |
| 18404 ცსკა-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 18405 ავსტრია-პარმა | 2.3 | 1.5 |
| 18406 ნიუკასლი-სპორტინგი | 1.65 | 2.0 |
| 18407 ვილიარეალი-ალკმაარი | 1.4 | 2.6 |

კალათბურთი

# შემთხვევა, როცა წაგებითაც კმაყოფილი ხარ...

## კადეტებს კარგი კადრები გამოუჩნდა

თუ დავიანგარიშებთ, საქართველოს ასაკობრივ ნაკრებთა შორის ყველაზე წარმატებული კადეტები არიან. ჩვენმა 16-წლამდელებმა ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწიეს — ისინი სისტემატურად მონაწილეობდნენ ევროშესარჩევში და ფინალურ ეტაპზეც რამდენჯერმე გავიდნენ. ასაკობრივი ნაკრები კი, მოგეხსენებათ, ისეთია, რომ სულ ერთი შემადგენლობით ვერ ითამაშებს. თაობა მიდის, თაობა მოდის, ჰოდა, მარკოიშვილ-სანიკიძეების თაობაც გაიზარდა და ახლა კადეტთა ნაკრების ხელახალი სელექცია მიმდინარეობს. ქართველი 16-წლამდელები ახლახან უკრაინაში, დონეცკის საკმაოდ წარმომადგენლობით საერთაშორისო ტურნირზე იმყოფებოდნენ და მიუხედავად უარყოფითი ბალანსისა, კადეტთა ნაკრების ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელი გელა წულაძე შედეგით კმაყოფილია. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, აქვს და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება...



გელა წულაძე დონეცკის ტურნირით კმაყოფილია

— დონეცკის ტურნირში ჩვენი ნაკრების მონაწილეობით კმაყოფილი ვარ. მართალია, ხუთიდან სამი შეხვედრა დავთმეთ, მაგრამ არის მომენტები, რაც კმაყოფილების საფუძველს იძლევა.

— კერძოდ?

— დავიწყოთ იმით, რომ დონეცკში შეკრებილთაგან ყველა A დივიზიონში გამოდის, ანუ ჩვენზე ერთი საფეხურით მაღლა დგანან. ესეც რომ არ იყოს, თავად ქვეყნებია ისეთი, რომელთაც დიდი ამბიცია აქვთ — რუსეთი, თურქეთი და უკრაინა. ბელარუსის ნაკრები რაღაც მიზეზის გამო ვერ ჩამოვიდა და მის ნაცვლად ტურნირში უკრაინის მეორე ნაკრები თამაშობდა. მეხუთე გუნდი კი ცსკა-ს 16-წლამდელები იყვნენ. თურქეთს და რუსეთს ევროპის ოთხეულში მოხვედრის პრეტენზია აქვთ, ხოლო უკრაინა მეოთხედფინალს უმიზნებს.

— **მხოლოდ მეტოქეთა სიძლიერე გაძლევთ შედეგით კმაყოფილების საფუძველს?**

— მინდა აღვნიშნო, რომ შედეგი ჩემთვის ბევრს არაფერს არ ნიშნავდა და ეს დონეცკში გამგზავრებამდეც ვთქვი. ჩვენი მიზანი იყო გამოცდილების მიღება და ნაკრებისთვის ახალი კანდიდატების შერჩევა, რაც მოვახერხეთ კიდეც. დონეცკში ყველა გუნდი უძლიერესი შემადგენლობით იყო, ჩვენ კი სასტარტო ხუთეული გვაკლდა, სულ 9 კალათბურთელით ვიყავით.

— **რატომ არ წახვედით უძლიერესი შემადგენლობით?**

— ლიტვასა და ესპანეთში მყოფმა ოთხმა ლეგიონერმა ჩამოსვლა ვერ მოახერხა, კიდევ ერთ კალათბურთელს კი ოჯახური პრობლემები ჰქონდა და თბილისში დარჩა. ამ ცხრა კალათბურთელიდანაც ორს თითქმის არ უთამაშია არასათანადო გამოცდილების გამო და მთელმა ტურნირმა 7 მოთამაშეზე გადაიარა. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, უკმაყოფილო ნაღდად არ ვარ. ის კი არა, მეგონა, ფავორიტებთან გავნადგურდებოდით, მაგრამ ასე არ მოხდა.

— **მაშ რა სხვაობით წააგეთ?**

— უკრაინის პირველ ნაკრებთან 22 ქულით წავაგეთ, ხოლო რუსეთთან 10-ით. თავად ამ გუნდების მატჩი უკრაინელთა 33-წლიანი გამარჯვებით დასრულდა.

— **ყველაზე იმედისმომცემი მატჩი რომელი იყო?**

— ცსკა-სთან 25 ქულით მოგებული შეხვედრა, ცხადია, ყველას სჯობდა, მაგრამ არც თურქეთთან ოვერტაიმში წაგებული მატჩი იყო ნაკლები. თურქებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და მეც მიკვირს, როგორ გადავიყვანეთ თამაში დამატებით დროში. რუსეთთანაც ძლიერად ვითამაშეთ, პირველი ტაიმი მოვიგეთ კიდეც, მაგრამ, როგორც გითხარით, მხოლოდ 7 კალათბურთელს ვეყრდნობოდით და გამძლეობამ დაგვალალატა. თითქმის ყველა მატჩის პირველ ტაიმში დავჯაბნეთ მეტოქე, მაგრამ მეორეში მოვიკოჭლებდით, რაც, ცხადია, მოკლე სათადარიგო სკამის ბრალია.

— **მეხუთე შეხვედრაზე რას იტყვით?**

— უკრაინის მეორე ნაკრებთან 2 ქულით დავმარცხდით და, ჩემი აზრით, ეს იყო მოგების ტოლფასი. მატჩამდე უკრაინელთა მწვრთნელმა გვთხოვა, პირველი ნაკრებიდან რამდენიმე მოთამაშეს დავიმატებთო და უარი არ გვითქვამს. ეს არ იყო ოფიციალური შეხვედრა, შედეგს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა და თან ჩვენს ინტერესებშიც ხომ რაც შეიძლება ძლიერი მოწინააღმდეგესთან სპარინგი შედიოდა. მეტოქემ უკრაინის პირველი ნაკრებიდან 4 მოთამაშე დაიმატა, რაც კალათბურთში ლამის მთლიან გუნდს უდრის. თავიდან ვიგებდით და 2 ქულით მარცხიც არ გამოხატავს ჩვენს სისუსტეს.

— **ვის გამოარჩევთ ნაკრების კანდიდატებიდან?**

— რიჩარდ მათიაშვილს, რომელმაც თითქმის ყველა მატჩი სრულად ჩაატარა და გვარიანად გადაიღალა. თურქეთთან ის ჩვეულ ფორმაში ვერ იყო, თორემ აუცილებლად გავიმარჯვებდით და მესამე საპატიო ადგილზე გავიდოდით... ნორმალურად ითამაშა დებიუტანტმა გიორგი ცეკვავამ, რომლისთვისაც ეს იყო პირველი საერთაშორისო ტურნირი და ნერვიულობდა.

— **ახლა რა გეგმას ისახავთ?**

— მაისის ბოლოს სრული შემადგენლობით შევიკრიბებით და დსთ-ს ახალგაზრდული თამაშებისთვის მოვემზადებით, რომელიც მოსკოვში 18-26 ივნისს გაიმართება. თუ ფინანსები იქნება, გვინდა, კიდევ ერთ მოსამზადებელ შეკრებში მივიღოთ მონაწილეობა, სანამ ივლისის ბოლოს ბულგარეთში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გავემგზავრებით.

**ირაკლი პერტაია**

ხელბურთი

საქართველოს XV ჩემპიონატი
მეორე წრე მეორე ტური

# გინდ შინაური, გინდ სტუმარი

— 5 აპრილი —

**საუ-მამული 34:29 ძარიშხალა**

საუ-მამული: წივწივაძე (გაიტანა 10 გოლი), კობახიძე (9), ცოტაძე (5), ლალანიძე (5)

ძარიშხალა: საჯაია (12), ქირია (9), გელა არაბული (3)

**ს/კ თბილისი 27:20 ქუთაისი**

თბილისი: ჩაჩანიძე (8), გელაშვილი (5), აბულაძე (5)

ქუთაისი: მამასახლისი (8), ჩუბინაშვილი (4), გოგონაძე (3)

**ჭაბუკები 30:25 თელავი**

ჭაბუკები: მელქოშვილი (9), მსხვილიძე (7), ჯორბენაძე (5)

თელავი: ნატროშვილი (7), ჯიშკარიანი (7)

**სამტრედია 26:25 გორი**

სამტრედია: ჯოჯუა (13), ჭანტურია (5), დუნდუა (3)

გორი: მშვიდობაძე (12), ხარაიძე (6), გელა ნასყიდაშვილი (3)

**შინაურ** მღვდელს შენდობა არა აქვსო. სხვებზე რა მოგახსენოთ, ხელბურთელებისთვის კი შინაურიც და გარეულიც ნამდვილად სულერთია.

საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ ეროვნული ჩემპიონატის „საომარი" თამაშების გასაძღოლად ამჯერადაც აზერბაიჯანიდან მოიწვია მსაჯები.

მართალია, ჩვენი კარის მეზობლები დონით ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ, ანუ იმის თქმა გვინდა, რომ მეტ-ნაკლებად ისინიც ცდებიან, მაგრამ ამის გამო საკუთარ უგერგილობაზე ჯავრი სტუმრებზე ხომ არ უნდა ვიყაროთ. არადა, სამწუხაროდ, იყო მათი „არაკომპეტენტური" დასტვენების მიმართ ზედმეტად ემოციური, გვაპატიეთ, არაკაცური გამოხდომები.

ყველანი არა, მაგრამ ბევრი მწვრთნელი, ზოგი ნაკლებად, ზოგიც მოჭარბებულად, ცხარობს, ესენი ვინ ჩამოგიყვანიათ სამსაჯოდო. ამას კიდევ არა უშავს, მაგრამ მთავარი უბედურება ხომ ისაა, რომ „აღმზრდელთა" მაგალითს მოთამაშეებიც ბაძავენ და არის ბიჭების მხრიდან ხელების შლა და შეურაცხმყოფელი შეძახილები არბიტრების დაბალ კვალიფიციურობაზე.

მადლობა ღმერთს, მათ ჯერ არ გადაუღიათ და არ გაუმეორებიათ ის გულიანი „მოკითხვა", რომელიც ერთმა მწვრთნელმა ერთ-ერთი ბაქოელი მსაჯის დედას გაუგზავნა.

ერთი სიტყვით, ბიჭებო, თქვენ მოინდომეთ და მსაჯები მოგებას ვერ წაგართმევენ.

**გია ახალაძე**

**საბურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 15 | 0 | 1 | +182 | 30 |
| თბილისი | 14 | 1 | 1 | +97 | 29 |
| საუ-მამული | 11 | 1 | 4 | +153 | 23 |
| ძარიშხალა | 10 | 1 | 5 | +48 | 21 |
| ქუთაისი | 8 | 1 | 7 | +29 | 17 |
| თელავი | 8 | 0 | 8 | +6 | 16 |
| ჭაბუკები | 7 | 0 | 9 | -65 | 14 |
| სამტრედია | 3 | 1 | 12 | -127 | 7 |
| ბათუმი | 1 | 1 | 14 | -131 | 3 |
| გორი | 0 | 0 | 16 | -192 | 0 |

კალათბურთი

# შენც, შონ?

## კემპი მარიხუანაზე ჩავარდა

**90-იანების** ერთ-ერთი გამორჩეული კალათბურთელი შონ კემპი ნარკოტიკებზე ჩავარდა და მომავალ სამშაბათს სასამართლოს წინაშე წარსდგება.

კემპი ჯერჯერობით დაუდგენელ დოსტთან ერთად მცირე სატვირთო მანქანით მოძრაობდა სიეტლის



მახლობლად მდებარე დაბა შაორლინში, როცა პატრულმა გააჩერა და...

— ეს რა სუნია, ბიჭებო, მარიხუანას წევს აბოლებთ? — ჩაიხითხითა პოლიციელმა და მანქანა გაჩხრიკა.

ავტოში 60 გრამი მარიხუანა, მცირეოდენი კოკაინი და ერთი ნახევრადავტომატური პისტოლეტი აღმოჩნდა. კემპიც და მისი ამყოლიც, ცხადია, იმწამსვე დააკავეს და უახლოეს სატუსაღოში უკრეს თავი.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ცნობილი სპორტსმენი ნარკოტიკების შენახვასა და მოხმარებაში იმხილება. ცნობილ ქეშ რაშიდ ვოლესს რომ თავი დავანებოთ, ახლახან ამობრწყინებული კარმელო ენტონიც გაება მარიხუანის სკანდალში. მაშინ ენტონის მმაკაცი დაუდგა თავდებში, რომელმაც თქვა, დენვერელი კალათბურთელის ხელჩანთაში აღმოჩენილი ნარკოტიკი ჩემი იყოო.

შონ კემპი, ხუთგზის ოლსტარელი და „სიეტლ სუპერსონიკსის" სახე 1989-97 წლებში, როგორც ვთქვით, სამშაბათს წარსდგება სასამართლოს წინაშე და სავარაუდოდ ისეთ ზღაპარს მოუყვება მოსამართლეს, ამ წუმპიდან ალბათ მშრალი ამოვა.

**ირაკლი პერტაია**



თენგიზ მესხაძე

**სამოყვარულო კრივის სეზონის უმთავრესი ტურნირი წლის ბოლოს გაიმართება. პეკინის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ნახევარი წელიწადია. მანამდე საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის თენგიზ მესხაძის ამოცანა ოპტიმალური შემადგენლობის მოძებნაა. საჩინეთო გუნდში მოხვედრის შანსის მქონე კანდიდატები თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას საქართველოს ჩემპიონატსა და საერთაშორისო ტურნირებზე შეეცდებიან. უახლოესი ტურნირი ორიოდ კვირაში სტამბოლში იწყება და მასში საქართველოს ქალებიც იკრივებენ. გუშინ ორივე ნაკრებმა ქუთაისს მიაშურა და წინასათურქეთო ბოლო შეკრება დაიწყო. ვაჟთა გუნდის თავკაცს იმერეთში გამგზავრებამდე ვესაუბრეთ**

# იმერული სამზადისი
## მუშტებზე ქალებიც იხედებიან

— წლეულს უკვე ორი შეკრება გავიარეთ. ფოთსა და ვარიანში თითო წონაში 3-4 მოკრივე ვიახლეთ, ქუთაისში კი მხოლოდ თურქეთში წამსვლელი თორმეტი მოკრივე ივარჯიშებს.

**— გამოდის, სტამბოლში ზოგიერთ წონაში ორი სპორტსმენიც გვეყოლება?**

— ორი მოკრივე მხოლოდ 75 კილოგრამში გვყავს. საქმე ისაა, რომ ამ თორმეტიდან სამი ქალია. კრივის საერთაშორისო ფედერაცია ტურნირებზე ქალთა გუნდების ჩაყვანას უკვე კატეგორიულად ითხოვს.

**— მაშასადამე მსოფლიოზე შეიძლება ქართველმა ქალებმაც იკრივონ?**

— მათი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ცალკე ტარდება, თუმც ასეთ დონეზე გამოსასვლელად ჯერ ჩვენი გოგონები მზად არ არიან. ასაკითაც პატარები არიან და საერთაშორისო არენაზე გასვლას ახლა იწყებენ.

**— ისევ კაცების კრივს მივუბრუნდეთ, თქვენი შეგირდების მზადყოფნით თუ ხართ კმაყოფილი?**

— ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. საერთო სურათი საკმაოდ ნორმალურია.

**— თურქული ტურნირიდან რამდენ მედალს ელოდებით?**

— მთავარი ახლა საშეჯიბრო დატვირთვის მიღებაა, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე შედეგისთვის არ იბრძოლებს. თითოეულის საფიქრალი ხომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ შემადგენლობაში მოხვედრაა.

**— მსოფლიომდე ჯერ დიდი დროა. შემადგენლობას აქედანვე აკომპლექტებთ?**

— ნოემბრამდე თურქეთის გარდა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობასაც მოვასწრებთ და საბოლოო გადაწყვეტილებას საერთო შედეგების გათვალისწინებით მივიღებთ. უცხოურ შეჯიბრებზე არანაკლები ყურადღება მიექცევა საქართველოს ჩემპიონატს, რომელიც 7-11 მაისს გაიმართება. მასში ყველა ძლიერი მოკრივე გამოვა.

**— თურქეთში ნიკოლოზ იზორიასა და კონსტანტინე კუპატაძესაც იახლებთ?**

— სამწუხაროდ, ეს ადრევე გამოირიცხა. ორივეს ტრავმა აწუხებს და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადიან. როგორც კი მომჯობინდებიან, პირად მწვრთნელებთან განაგრძობენ ვარჯიშს. ალბათ საქართველოს ჩემპიონატამდე ფორმის აღდგენასაც მოასწრებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| საქართველოს ნაკრები | |
|---|---|
| **ვაჟები** | |
| 57 კგ | კობა ფხაკაძე (ქუთაისი) |
| 60 კგ | სპარტაკ ნონონავა (ქუთაისი) |
| 64 კგ | ლევან ღვამიჩავა (ფოთი) |
| 69 კგ | კახაბერ ჟვანია (ფოთი) |
| 75 კგ | ანატოლი ქავთარაძე (ჭიათურა)<br>რევაზ ქარელიშვილი (ვარიანი) |
| 81 კგ | დავით ნიკლაური (თბილისი) |
| 91 კგ | ბექა ლობჟანიძე (გორი) |
| +91 კგ | თამაზ ჯაოევი (თბილისი) |
| **ქალები** | |
| 52 კგ | სოფიო მამულაშვილი (დედოფლისწყარო) |
| 60 კგ | ინგა ფილიპოვა (დედოფლისწყარო) |
| 66 კგ | ლიანა მედოევა (თბილისი) |



კონსტანტინე კუპატაძე და ნიკოლოზ იზორია



# პირველი ევროკავშირელი უნგრელი გახდა

**ირლანდიის** ქალაქ კორკში დასრულდა ევროკავშირის პირველი ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი მოჭადრაკე ქეთევან არახამია — გრანტიც მონაწილეობდა. ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 7750 ევრო იყო და მასში 115 მოჭადრაკე გამოდიოდა.

გათამაშებაში 8,5 ქულით გაიმარჯვა უნგრელმა დიდოსტატმა ზოლთან გიმეშმა. პირველი ადგილი მან პოლონელ მატეუშ ბარტელთან ერთად მოიპოვა, თუმც ტაიბრეიკში აჯობა და პირველი ჩემპიონიც გახდა.

წარუმატებლად იასპარეზა ერთადერთმა ქართველმა — არახამია-გრანტმა. მან 10 პარტიაში 6 ქულა მოაგროვა და 15 მონაწილესთან ერთად ოცდამეორე-ოცდამეთექვსმეტე ადგილები გაიყო.

**ლაშა ბეგეჭკორი**

# ისლანდია მოქალაქეებს არ შთვალთვალებს, ფიშერს კი სერბეთში იწვევენ



**„ბობი** ფიშერი უკვე ჩვენი მოქალაქეა და ამერიკის შეერთებულ შტატებს არ გადაეცემა. რეიკიავიკი ვალდებული არ არის, უცხო ქვეყანას შეატყობინოს, თუ სად იმყოფება დიდოსტატი, რადგან ჩვენს მოქალაქეებს არ ვუთვალთვალებთ" — განაცხადა ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავიდ ოდსონმა.

ისლანდიელი მაღალჩინოსანი ინტერპოლის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ გააღიზიანა, მათ კუნძულელებს ურჩიეს, რომ ფიშერის უცხოეთში ყოველი ვიზიტის თაობაზე აშშ-ს აცნობონ, რათა მოჭადრაკის დაკავება გაუადვილდეს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელები ფიშერს 1992 წლიდან ეძებენ, როცა მან იუგოსლავიაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები დაარღვია და ბელგრადში 3,35 მილიონ დოლარად შეფასებული მატჩი ითამაშა ყოფილ მეტოქე ბორის სპასკთან. ფიშერმა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი სიძულვილი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგაც გამოხატა, როცა რადიოში გამოსვლისას ტერორისტები შეაქო და განაცხადა: „უკვე დროა, აშშ ერთხელ და სამუდამოდ დაღუპდეს"... აშშ-სთან კონფლიქტის გამო კი დიდოსტატმა დედისა და დის გასვენებაზე ჩასვლა ვერ შეძლო.

როგორც ჩანს, ეს ორომტრიალი სულ არ აწაღვლებს იანოშ კუბატს. იგი აპირებს, ფიშერი და ამერიკული წარმოშობის უნგრელი მოჭადრაკე პალომ ბენკე სერბეთის ქალაქ კანიჟეში შეახვედროს ერთმანეთს. „სპონსორი უკვე ვიპოვე, ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გამოუშვებს თუ არა ისლანდია ფიშერს სერბეთში" — განაცხადა კუბატმა.

**ლაშა ბეგეჭკორი**



# ლონდონი ეთიოპიელებს მოისაკლისებს

**17 აპრილს** ლონდონში ტრადიციული მარათონის გამართვა იგეგმება. ლონდონური მარათონი საუკეთესოდ ითვლება ყველა ისეთ მარათონს შორის, რომლებიც ქალაქში ტარდება. ამიტომაც გარბენი ყოველთვის სპორტული მედიის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

სამწუხაროდ, წლევანდელ შეჯიბრში ტრავმის გამო ვერ მონაწილეობს 10 ათას მეტრზე რბენაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ეთიოპიელი ჰაილე გებრსელასიე. ანალოგიური მიზეზით გარბენს კიდევ ერთი ეთიოპიელი, გეზაგნე აბერა გამოაკლდება. იგი მარათონულ დისტანციაზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონია.

ეთიოპიელთა არყოფნა უთუოდ დაღს დაასვამს ლონდონის მარათონს. ფავორიტებად კი მსოფლიოს რეკორდსმენ, კენიელ პოლ ტერგატის და ათენის ოლიმპიადის გამარჯვებულ, იტალიელ სტეფანო ბალდინის მიიჩნევენ.

**ლადო ფულუკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# გრანტეროლოგია

## ანუ საჩოგბურთო ჭყვიტინის ანატომია



მაშა შარაპოვამ, ასე ოთხი წლიდან ვყვირივარ და ვწივივართ

**როცა** საჩოგბურთო მილეთში სიტყვა მაშა შარაპოვაზეც ჩამოვარდება, სხვა ყველაფერთან ერთად მის კივილზეც ლადაობენ ხოლმე. ბურთზე ჩოგნის დაგლაჯუნებისას, ვინძლო თქვენც დაგვეთანხმოთ, 18 წლის რუსი ქალმეჩოგნე მართლაც არაორდინალურ ჩქამებს გამოსცემს; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავად ეს ფენომენი ჩოგბურთისთვის სიახლე სულაც არ გახლავთ.

მატჩისას ამგვარად მოკივილ-მოკრუსუნე მეჩოგნეებს ინგლისურად GRUNTERS-ებს ანუ „ჭყვიტინებს“ ეძახიან.

საყოველთაო მოსაზრებით, ყველაზე მაგარი გრანტერები რუსი გოგონები არიან, რომელნიც ამ ბოლო დროს — ძირითადად მაინც უილიამსებისა და სუპერბელგიელთა არყოფნაში — მსოფლიოს ზეპურ სარბიელებს მკალივით მოედვნენ. ასევე დასტურ შეუცილებლად ითვლება, რომ ამათგან უმყვირალესი მარია შარაპოვაა.

რუსქალთა ლიანგურ აღბორგებამდე ყველაზე კივილოსნებად ვინუს და — განსაკუთრებით — სერენა უილიამსები მიიჩნეოდნენ, მაგრამ მაშას გოდების ფონზე ამათი წამოკივლება ვილას ახსოვს. ბად კოლინზმა, ერთმა ყველაზე სახელგანთქმულმა ჩოგბურთზე მწერალმა მას ამის გამო ციმბირული სირენაც კი უწოდა.

რამდენიმე ბოლოლა ტურნირზე მაშა მკაცრადაც გააფრთხილეს, რათა ბურთაობისას უფრო თავშეკავებულად ეცმინა, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ამან მაინც ვერ გაჭრა, მერე კი გოგომ უიმბლდონზე იმარჯვა და ახლა უკვე მსაჯებს ენაც აღარ უტრიალდებათ, უკვე ამოცისკროვნებულ ვარსკვლავს — მაშა, ცოტა დააყენეო, რომ უთხრან.

მაგრამ ჟურნალისტები ამ მხრივ უფრო თავისუფალნი არიან და მოცემულ თემაზე ისინი ბევრს და ხალისიანად ფიქრობენ, ალარებენ, მახვილსიტყვაობენ.

ასე მაგალითად, „დეილი ტელეგრაფელებმა“ მაშას მიერ გამოცემული ბგერები ერთხელ ქვაზე ასხლეტილი ტყვიის ხმიანობას შეადარეს. თუმცა გაზეთის აზრით, მაშას კივილი ერთდროულად ახლეტაცაა, შეძახილიცაა, კვნესაც, ოხვრაც და კიდევ რაღაც, რაც უკვე მესაქონლეობა-მებუღეობის სფეროში გადადის.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩოგბურთში მეტოქისთვის ხელის, უფრო სწორედ კი, ჩოგნის შეშლა აკრძალულია — თუკი რომელიმე მოთამაშეს მოწინააღმდეგის ღრიალი ნორმალურად ბურთაობის შესაძლებლობას უმურდლავს, მას შეუძლია, მსაჯს მეტოქის დასჯა მოთხოვოს, მსაჯს კი სრული უფლება აქვს, მისი თხოვნა გაითვალისწინოს. თუმცა ასეთი რამ, როგორც ისტორია გვამცნობს, არასოდეს მომხდარა.

საზოგადოდ, გრანტერთა დედად მონიკა სელეში ითვლება. მარიალია, კორტზე მონიკამდეც ბევრი ყვიროდა, მაგრამ ამ გაამერიკებულმა სერბგოგომ — ცნობილ მიზეზთა გამო ეკებ ყველა დროის საუკეთესო ქალმეჩოგნედ ვერშემდგარმა — საკორტო კივილოსნობა ხარისხობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა.

პირველად მისი ამაღელვებელი ხმაურის წინააღმდეგ ბულგარელმა მალეევამ ილაშქრა 1992 წელს, როცა მსაჯს შესჩივლა, დასაკლავი გოჭივით კივისო. მაგრამ მაშინ მონიკა ჯერაც ნორჩი და კადნიერი იყო და მეტოქეთა ჩივილები სულ ჩოგანზე ეკიდა. თუმცა მოგვიანებით, როცა ერთ-ერთი უიმბლდონობისას ენამწარე ბრიტანულმა პრესამ „გამოთვალა“, რომ მისი ხმაური ვითომდაც დიზელმავალისას აღემატებოდა, მონიკამ დაიდუმა და... ფინალში შტეფი გრაფთან დამარცხდა.

რაც შეეხება შარაპოვას, ის დადუმებას ჯერ არ აპირებს:

„მე ასე ოთხი წლიდან ვყვირივარ და ამას ველარაფერს ვუშველი. სიმართლე გითხრათ, თამაშის დროს ამას საერთოდაც ვერ ვამჩნევ.“ თუმცა ის არც იმას მალავს, რომ თავისი შეხვედრების ჩანაწერში ყურება მაინცდამაინც გულზე არ ეხატება.

„როცა შენზე ჩივიან, შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგა“ — ამას კი ამბობს, მაგრამ როგორც კორტზე გადის, რაციონალურ არგუმენტებს ისევ მისი წიაღიდან დაძრული ალვირახსნილი გოდება ჯაბნის.

მავანნი ფიქრობენ, რომ მეჩოგნის გადაჭარბებული კივილი მეტოქეს ბურთზე ჩოგნის შეხების ხმას უფარავს, რაიც პროფესიონალთათვის ინფორმაციის არცთუ უმნიშვნელო წყაროა. მავანთა აზრით, მეტოქის ღრიალის გამო ჩივილი სისუსტის მაჩვენებელია — თუ მომგები ხარ, ყველანაირ ხმაურს უნდა სძლიო. ზოგიერთი კი დარწმუნებულია, რომ ამგვარი კვნესა-კრუსუნის გარეშე ქალთა ჩოგბურთი თავის გამორჩეულ მომხიბლაობას დაკარგავდა.

ამავე კონტექსტში უნდა მოვყვეთ ერთ ძველ ამბავსაც — როცა 1988 წელს ივან ლენდლმა მსაჯს ანდრე აგასის ოხვროსნობის გამო შესჩივლა, იმან სოლომონბრძნულად მიუგო — ჩვენ ვერაფერს ვიზამთ, რადგანაც ეს ჩოგბურთის მიუცილებელი ნაწილიაო.

ოღონდ, ცხოვრებას რაგინდ ფილოსოფიურადაც არ უნდა უცქერდე, კორტზე — განსხვავებით სპორტის სახეობათა უმრავლესობისაგან — ისეთი დუმილი სუფევს, რომ ბობოქრად აკვნესებული ქალის ყურება მაინც ძალიან ძნელი საქმეა ასე ფიქრობს, მაგალითად, ლეგენდარული ჯონ მაკინროი, რომელმაც ერთხელ აღიარა, რომ ვერაფრით შეეგუა მონიკა სელეშის კვნესას ხოლო შარაპოვასთან დაკავშირებით მას ემოციათა მთელი პალიტრა ეუფლება ხოლმე — რაღაც დამბანგავი შეხამება სინორჩის, მალხარისხოვანი ჩოგბურთის, საღუქი გარეგნობისა და საშინელი, საზარელი კივილის.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩოგბურთის მრავალ ტრფიალს ეს ყველაფერი ძალიან მაგრადაც ევასება. და, ბუნებრივია, ამათგან უმეტესნი ხვალები არიან. მათი მძუვანი აზრით, უკეთუ შარაპოვას შეხვედრათა ჩანაწერები გაქვს, ყამსა საჭიროებისასა პორნოფილმებით ლაღობა აღარ გჭირდება. ეგევე არგუმენტი, ცხადზე უცხადესია, მაშას კივილოსნობისადმი ქალთა აუდიტორიის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას განაპირობებს.

საჩოგბურთო ჭყვიტინის ფენომენისადმი მიძღვნილი ეს ისტორიამიმოხილვა კი ერთი შორსმჭვრეტი ჟურნალისტის მოსაზრებით უნდა გავასრულოთ.

ეს კაცი თვლის, რომ საკითხს მეცნიერულად უნდა მივუდგეთ და მაშინ გამოვა, რომ ჩოგბურთი ამ თვალსაზრისით სამხედრო ხელოვნებებს ჩამოჰგავს. მოგეხსენებათ, ბრძოლის ილეთებიც დარტყმის ამოსუნთქვისას სრულდება და ამ მომენტში ხშირად გაჰყვირიან კიდეც. თქვენ გგონიათ, ისინი თავის ემოციებს ვერ აკონტროლებენო, გვეკითხება კოლეგა და მყისვე გვპასუხობს — სწორედაც რომ პირუკუ, ეს იმ შინაგანი ძალის ამოძახილია, რამაც თავის გზაზე ყველა და ყველაფერი უნდა გადაჯეგოსო. აბა.

**ართემ ჩაჩანიძე**

# ჩინური ცუნამი

**ჩინეთის** გიგანტური პროგრესი მრავალ სფეროში ლამის წალეკვით ემუქრება ყველას და ყველაფერს. გამონაკლისი არც სპორტია

ამ სფეროში აღმავლობა ლოს-ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიური თამაშებიდან დაიწყო, როცა ჩინეთმა ოქროს მედლების რაოდენობის მხრივ ამერიკის (83), რუმინეთისა (20) და აღმოსავლეთ გერმანიის (17) შემდეგ მეოთხე ადგილი დაიკავა (15), მაგრამ მაშინ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა საბჭოთა კავშირი და ზოგიერთი სოციალისტური ქვეყანა.

ახლა აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს. აღარც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამიტომ ჩინელთა პროგრესისადმი თვალის მიდევნება ალბათ 1996 წელს ატლანტაში გამართული ოლიმპიური თამაშებიდანაა უპრიანი.

მაშინ ოქროს მედლების რაოდენობის მხრივ კვლავ ამერიკამ გაიმარჯვა (44), მომდევნო ადგილებზე რუსეთი (26), გერმანია (20) და ჩინეთი (16) გავიდნენ. 2000 წელს სიდნეიში პირველობა კვლავ ამერიკამ მოიპოვა (40), მეორეზე რუსეთი (32) გავიდა, ხოლო ჩინეთმა მესამე საფეხურზე აინაცვლა (28). ათენში ჩინელებმა უკვე 32 ოქროს მედალი მოიპოვეს და ახლა უკვე მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ. ამასთან, ისინი სულ სამიოდე პირველი ადგილით ჩამორჩნენ ამერიკელებს.

ასე რომ, ახლა საკითხავი ის არის, 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ვინ გაიმარჯვებს — ჩინეთი თუ ამერიკა? თუ ჩინელთა პროგრესს გავითვალისწინებთ და იმასაც, რომ სწორედ ისინი მასპინძლობენ ოლიმპიურ თამაშებს, მომავლის განჭვრეტა ძნელი არ უნდა იყოს.

ჩინელები ბოლო წლებში დაწინაურდნენ არა მხოლოდ მთელს მსოფლიოში პოპულარულ სახეობებში, მაგალითად, ცურვაში, წყალში ხტომაში, სინქრონულ ცურვაში, მძლეოსნობაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, ძალოსნობაში თუ მაგიდის ჩოგბურთში, არამედ მათთვის შედარებით უცხო, მაგალითად, ჩოგბურთში, გოლფში,



ქვი ჩენი და ლინ მა

სნუკერში და სხვა სახეობებში, რომლებსაც ისინი წინათ საერთოდ არ მისდევდნენ.

წინათ ჩინეთში მართალია, ფეხბურთს დიდი ხალისით თამაშობდნენ, მაგრამ ეს სახეობა დიდ დონეზე პოპულარული მაინც არ იყო. თუმცა, ამ სახეობისადმი ინტერესიც ძალზე გაღვივებულა. მეტიც, ჩინელთა ფეხბურთისადმი ინტერესს უკვე უცხოელებიც იჩენენ.

წლეულს თებერვალში შანხაიში დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა გორდონ ბრაუნმა ოფიციალური ჩინური ვერსია შეუშვა საიტზე, რომელშიც ასახულია ინგლისის პრემიერლიგის ამბები. ახლა ეს ერთადერთი ენაა, რომელზეც საიტზე პრემიერლიგის თამაშები ითარგმნება, რაც იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ დიდია ჩინური ბაზრისადმი ინტერესი.

მართალია, ჩინეთში გასულ სეზონში ფეხბურთის მატჩებზე მაყურებელთა დასწრება შემცირდა, მაგრამ საერთაშორისო ფეხბურთისადმი ინტერესი კვლავინდებურად დიდია.

უახლოესი 18 თვის განმავლობაში ჩინეთის ფეხბურთელთა ნაკრებს დაგეგმილი აქვს ამხანაგური შეხვედრების სერიის გამართვა, მათ შორის ესპანეთის, ირლანდიის, არგენტინისა და გერმანიის ნაკრებ გუნდებთან.

ჩინეთით დაინტერესდა არა მხოლოდ პრემიერლიგა, არამედ საფეხბურთო კლუბი „შეფილდ იუნაიტედი", რომელმაც სამხრეთ პროვინცია ხაინანში საფეხბურთო აკადემიაც კი გახსნა. ამასთან, შეფილდში რამდენიმე ჩინელი ვარჯიშობს. და ეს დღეს აღარავის უკვირს, რადგან მთელ მსოფლიოში ჩინეთის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მიმზიდველია.

ფეხბურთი, როგორც ფართო მასების სპორტი, ჩინეთში მაინც გარედან შევიდა, მაგრამ ამ ქვეყნისთვის უფრო არატრადიციული სახეობები ქვეყანას შიგნიდან იპყრობს. მაგალითად, წლეულს ჩინეთში გოლფში ევროპული ტურის ფარგლებში 5 შეჯიბრება გაიმართება, რაც მეტია, ვიდრე შოტლანდიასა და ინგლისში დაგეგმილი თამაშები. ამ შეჯიბრების სპონსორებად გამოდიან ევროპული ტურნირის ოთხი მთავარი გიგანტები: ომეგა, ვოლვო, „ჯონი უოლკერი" და DMW.

„ჩინეთში გოლფს ბრწყინვალე მომავალი აქვს. ამ სახეობისადმი ინტერესი განუხრელად იზრდება" — ამბობს ევროპული ტურნირის აღმასრულებელი დირექტორი ჯორჯ ო'გრეიდი.

ო'გრეიდიმ შეაქო ჩინეთის გოლფის ასოციაციის მიღწევა, რომლის მიხედვით „ამ სახეობის რეპუტაცია შეიცვალა. ამ რეპუტაციის მიხედვით „ეს სახეობა დღესდღეობით ყველაზე მდიდართა სპორტია, ხოლო ჩინეთში მას მთელი მოსახლეობა თამაშობს".

შარშან რეანვეი ჩჟანი გახდა პირველი ჩინელი, რომელმაც აგვისტოში გამართულ მასტერსის ტურნირში მონაწილეობდა. მან ამ შეჯიბრებაზე მიიღო მიწვევა, რომელსაც მისი ორგანიზატორები ჰაიჰ არად არ იმეტებენ.

„ადამიანისთვის ეს ოცნების მწვერვალია, მაგრამ ჩინეთისთვის ეს მხოლოდ დასაწყისია" — თქვა ჩჟანმა მას მერე, რაც ჩჟანს მხოლოდ ერთი დარტყმით აჯობეს.

თუ ქვეყნის მიღწევებს ამა თუ იმ სახეობაში გამართული შეჯიბრებების რაოდენობით განვსაზღვრავთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთში ჩოგბურთიც გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ.

მას შემდეგ, რაც გაცხადდა, რომ 2002 წელს მასტერსის სერიით ATP-ს ტურნირი შანხაიში გაიმართებაო, ამან დიდი შოკი გამოიწვია. მაგრამ აი, როგორ ახსნა ეს გადაწყვეტილება თავად ATP-ის პრეზიდენტმა ბრედ დრიუვეტმა:

არავის სჯეროდა, რომ ჩინეთს ამგვარი ღონისძიების მიღება შეეძლო. ზოგიერთები იმასაც კი ამბობდნენ, რომ ATP ამით ძალზე სარისკო ნაბიჯს დგამსო.

„მაგრამ შეჯიბრებამ ბრწყინვალედ ჩაიარა. გულშემატკივრები აღფრთოვანებულნი იყვნენ — ამბობს დრიუვე — ასე რომ, ეს ტურნირი შანხაიში 2007 წლამდე კვლავაც ჩატარდება."

ჩინური წარმოშობის ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა ჩინეთში ამ სახეობისადმი ინტერესი ძალზე გააღვივა. ახლა ჩინეთში სურთ, რომ საკუთარი ვარსკვლავი აღზარდონ.

ჩინელ ჩოგბურთელთა მთავარი მიღწევა გახდა წყვილთა თანრიგში ლი ტინისა და შუნ ტიანტიანის ჩემპიონობა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე.

სერიოზული წარმატებებისთვის რომ საკუთარი ვარსკვლავის ყოლაა საჭირო, ამ თეზისს ადასტურებს ჩინელი დინ ცზიუნხული, რომელიც სნუკერსში მსოფლიოს 16 უძლიერეს მოთამაშეს შორის დამკვიდრდა.

„მე ბრწყინვალე შანსი მაქვს, რომ უდიდესი მოთამაშე გავხდე. მე მსოფლიოს ჩემპიონობაც შემიძლია — ამბობს ცზიუნხული. — მე ბევრი სატელევიზიო რეპორტაჟი მომიძღვნეს და ჩემგან უამრავი ინტერვიუც აიღეს. ასე რომ, ჩინეთში სნუკერი ძალზე პოპულარულია". ახლა ჩინელები იგივეს ცდილობენ მრავალ სახეობაში, მათ შორის ფორმულა-1-ში, რისთვისაც შანხაის ეტაპიც დამკვიდრდა.

**ავთანდილ ტყვიძელი**



ჩინელთა ყველაზე ღონიერი, ათენის ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში გონპონ ტანი (ცენტრში)

ოლიმპიადა

# ეძებენ და პოულობენ

**პეკინის** 2008 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს გადაუწყვეტია კიდევ ორი სპონსორული ხელშეკრულების დადება, რომელთაგან თითოეული 30 მილიონ დოლარს შეადგენს. განზრახულია აგრეთვე კიდევ რამდენიმე დიდი გარიგება.

„უახლოეს ხანში ჩვენ კიდევ რამდენიმე პარტნიორის პოვნას ვფიქრობთ" — ამბობს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მარკეტინგის მეთაური. კონტრაქტების გაფორმება კომპანიებს შესაძლებლობას მისცემს თავიანთი პროდუქციები ოლიმპიური სიმბოლიკით დაამშვენონ. იმ ორგანიზაციების შორის, ვისთანაც საორგანიზაციო კომიტეტმა ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა, არის ჩინეთის ორი უმსხვილესი მობილური ოპერატორი. ესენია ნავთობმომპოვებელი კორპორაცია SINOPEC7 BANK OF CHINA და ავიაკომპანია AIR CHINA.

# სოკ-ის მუქარა

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტი იმუქრება, რომ ოლიმპიურ თამაშებზე არ დაუშვებს იმ ქვეყანათა სპორტსმენებს, რომელთა სახელმწიფოებიც გაისამდე ხელს არ მოაწერენ ანტიდოპინგურ კოდექსზე. სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი იმასაც დასძენს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც არ მიიღებენ კოდექსის პირობებს, ვერ ჩაატარებენ მსხვილ საერთაშორისო შეჯიბრებებს.

„მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) კანონები და დებულებები, რომლებზეც ხელი მოაწერა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, მოწოდებულია, რათა მხარში ამოგვიდგნენ ქვეყანათა მთავრობები — ამბობს პრესკონფერენციაზე ჟაკ როგი — თეორიულად, თუ რომელიმე ქვეყანას არ სურს ანტიდოპინგურ კოდექსზე ხელის მოწერა, მაშინ ვერც მისი სპორტსმენები გამოვლენ ოლიმპიურ თამაშებზე და ეს სახელმწიფოები ვერც სპორტის სახეობათა მიხედვით საერთაშორისო ფედერაციების ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებების მასპინძლობას შეძლებენ.

„საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ეს საზოგადოებრივ-სპორტული ორგანიზაციაა და მას არ შეუძლია მართლმსაჯულებით იბრძოლოს დოპინგის წინააღმდეგ. ჩვენ არ გვაქვს იურიდიული ძალა. ჩვენ არ შეგვიძლია დავაკითხოთ ადამიანები, გავჩხრიკოთ ბარგი და გამოვწეროთ ბინების ჩხრეკვის ორდერი. ჩვენ არ შეგვიძლია დაპატიმრება. ეს ყველაფერი შეუძლია თითოეულ ქვეყანას, და მას წარმატებითაც განახორციელებს. სწორედ ამიტომ, [illegible] დას სახელმწიფოთა მხრიდან მხარდაჭერით შეიარაღება [illegible] სურს — თქვა ჟაკ როგმა.

**ავთანდილ ტყვიძელი**

# ცეკვა

ეს ჩხუბი არ არის, სინქრონული ცურვის პროგრამის ბოლო ამოსუნთქვაა – მსოფლიოს ფრანგი ჩემპიონი ვირჟინ დეიდუ იაპონიის ღია პირველობის მოგებასაც აპირებს.



AFP ფოტოები



# ვალვერდეს ფანდი

სევილიაში, მაესტრანსას წიდაზე კორიდა გრძელდება. ხავიერ ვალვერდე მეტად მოხდენილად აცუცურავებს ხარს. ოლე გარანტირებულია.

# ბილი კვლავ იქაა



ამერიკის სტუდენტურმა კალათბურთმა უკვე ფინალურ ოთხეულს უწია. კინოვარსკვლავი ბილ მიურეი (შუაში) კი კვლავ ერთგულად და მღელვარედ დგას ტრიბუნაზე, რითაც ილინოისის უნივერსიტეტის გუნდს ეხმარება. მიურეი ჩიკაგოელია, ამიტომ ილინოისის ერთგული ქომაგია, მისი გუნდი კი გამარჯვებისთვის ჩრდილო კაროლინას ეთამაშება.

# კონტროლი

კონტროლი ყველამ უნდა გაიაროს. ჯორჯიაში ოგასტას ეროვნულ გოლფზე კლუბში უკვე დაიწყო ვარჯიშები მოახლოებული მასტერსისთვის.





# წლეულსაც მზადაა

„გრანდ ნეშენალის“ დოღის შარშანდელი ჩემპიონი „ემბერლი ჰაუსი“ წლეულსაც ჩინებულ ფორმაშია. განთქმულ ცხენს ჩოლმონდლიში, ჩეშირში ავარჯიშებენ მოახლოებული „გრანდ ნეშენალისთვის“, რომელიც 9 აპრილს აინტრიში გაიმართება.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ცაგარეიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლალი ხარშილაძე, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge